პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

წელიწადი მეორე

კომუნისტი

ს. კ. პ. ცენტრ. და თბილისის კომიტეტის და სრულ. საქარ. მ., გ., წ.-არმ. და მატროსთა დეპუტატების საბჭოთა ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტის ორგანო

რედაქცია: თბილისი, კრუზენშტერნის ქ. № 4.

რედაქციის მიღება საქმისათვის ყოველდღე გარდა კვირა უქმეებისა დილის 9—2 ს. ტელეფონები: სარედაქციო კოლეგ. № 14—76 მდივნის № 19 საერ. №

მთავარი კანტორა: ტბილისი, რუსთაველის პრ., № 24 მე-2 სართული).

ხელის მოწერის თვიური ფასი შემდეგია: პარტიულ ორგანიზაციებისა და პროფკავშირებისათვის მიტანით: ქალაქში—140 ათასი მანეთი, პროვინციაში—180 ათ. მ. ყველა დანარჩენ ხელის მომწერთათვის მიტანით: ქალაქში 200 ათ. მ. პროვინციაში 240 ათასი ი. განცხადებ—10 ათ. მ. ნომპარელის სტრიქონი. სამგლოვიარო განცხადება 800 ათასი მ. ტელეფონის № კანტორისა № 5—48.

ფასი 10,000 მან.,

პროვინციაში 12,000 მან.

№ 176 ხუთშაბათი, 3 აგვისტო 1922 წ. ყოველდღიური გაზეთი ხუთშაბათი, 3 აგვისტო 1922 წ. № 176

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს კომპარტიის თბილისის კომიტეტი

წინადადებას აძლევს ყველა კომიაჩეიკებს პარასკევს, 4 აგვისტოს, მორიგ

ერთიან პარტიულ დღეს

დასვან დღის წესრიგში შემდეგი საკითხები:

1) ერთიანი ფულის ნიშანი ამიერ-კავკასიაში.

2) სასურსათო გადასახადის აკრეფა საქართველოში.

თბ. კომიტ. მდივანი: **კახიანი.**

ხუთშაბათს, 3 აგვისტოს საღამოს 6 საათზე ქალაქის აღმასკომის დარბაზში გაიმართება

საინსტრუქციო მოხსენება

მიმაგრებული ამხანაგებისათვის.

დღის წეს-რიგი.

ამიერ-კავკასიის ერთიანი ფულის ნიშანი სასურსათო გადასახადის აკრეფა საქართველოში

თბილისის კომიტეტის მდივანი **კახიანი.**

ყველა პარტიულ კომიტეტებს

ცირკულიარულად.

თითქმის მთელ აღმოსავლეთ საქართველოში დამთავრდა მოსავლის მოწევა.

ზოგიერთ ადგილებში უკვე შეუდგენ სასურსათო გადასახადების აკრეფას.

საქართველოს კომპარტიის ცეკა სასურსათო გადასახადის აკრეფის წარმატებით დაგვირგვინებას აკუთვნებს ფრიად **სერიოზულ მნიშვნელობას** და ამიტომ წინადადებას აძლევს ყველა პარტიულ ორგანიზაციებს მიაქციონ ფხიზელი და განსაკუთრებული ყურადღება მის **თავის დროზე და წარმატებით ჩატარებას.**

სასურსათო გადასახადი აკრეფილი უნდა იქნეს ყველა 100 პროც.

ამ მიზნისათვის ცეკა წინადადებას იძლევა ჩატარებულ იქნეს „სასურსათო გადასახადის ორკვირეული." ამ „ორკვირეულის" დაწყების დრო უნდა განსაზღვროთ თქვენ თვითონ ადგილობრივი პირობების მიხედვით.

„ორკვირეულის" დაწყების შესახებ უნდა აცნობოთ ცეკას, რომელიც გაგზავნის ადგილობრივ პასუხისმგებელ მუშაკებს ადგილობრივ ამხანაგების დასახმარებლად.

ცეკა წინადადებას გაძლევთ „გადასახადის კამპანია" გამოიყენოთ პოლიტიკური მიზნებისათვის, იხელმძღვანელებთ რა პირდაპირ ამასთანავე დართული თეზისებით და აგრეთვე ცეკას № 154 ცირკულიარით.

საქართველოს კომპარტიის ცეკას მდივანი **ხაბაშვილი.**

საგიტაციო-საპროპაგანდო განყოფილების გამგე **კვირიკაძე.**

სასურსათო გადასახადის კამპანია.

(თეზისები აგიტატორებისათვის).

1. პოლიტიკური მდგომარეობა აყენებს პარტიის წინაშე აუცილებლობას მთელი ყურადღება მიაქციოს ქვეყნის სამეურნეო სიძლიერის აღორძინებას ადგილობრივი საშუალებებითა და მუშურ გლეხური ხელისუფლების მაქსიმალური ენერგიის გამოჩენით.

2. გენუისა და ჰააგის კონფერენციები დასრულდა. აქ მსოფლიო კაპიტალი შეეცადა წაეჭირა ყელში ბაწარი ყველა საბჭოთა რესპუბლიკებისათვის, მაგრამ მათ ეს ვერ შეძლეს. მუშათა კლასმა ამაყათ უარყო ყოველგვარი ცდა ბურჟუაზიისა ამ მიმართულებით. კაპიტალისტურმა სამყარომ უარი სთქვა მიეღო მონაწილეობა გაპარტახებულ მსოფლიო მეურნეობის აღორძინების საქმეში და კერძოთ საბჭოთა რესპუბლიკის მეურნეობის აღდგენაში. მსოფლიო მტაცებლების მიზეზით გენუის კონფერენცია ჩაიშალა და არავითარი პრაქტიკული შედეგები კაპიტალისტურ სახელმწიფოებთან მოლაპარაკებამ, ცხოვრების ნორმალურ პირობების აღდგენის შესახებ,—არ გამოიღო, მიუხედავათ ჩვენი ერთგვარი დათმობისა ზოგიერთ საკითხებში. ეჭვი არ არის იმაში, რომ საბჭოთა ხელისუფლება წარსდგა გენუის კონფერენციის წინაშე, ყველა საბჭოთა რესპუბლიკებისა და კერძოდ **საქართველოს**, მშრომელთა საარსებო ინტერესების დამცველის როლში. ეს ფაქტი უნდა შეიგნოს ყოველმა მუშამ, გლეხმა, წითელ არმიელმა და ყოველმა პატიოსანმა ინტელიგენტმა.

3. გენუისა და ჰააგის კონფერენციების მსოფლიო მტაცებლების მიერ **ბოროტი მიზნებით ჩაშლის შემდეგ,** დიდი მნიშვნელობა ეძლევა ორ კამპანიას, რომელთა მიზანიც არის საბჭოთა ხელისუფლების ეკონომიური გაძლიერება და მის წინ სამეურნეო ფრონტზე წამოჭრილ ამოცანების გადაჭრა. ერთი მათგანი ეხება ერთიან სასურსათო გადასახადს, ხოლო მეორე—მტკიცე ერთიან ფინანსიურ პოლიტიკას საქართველოსა და ამიერ-კავკასიის სინამდვილის პირობებში.

იმ ზომების ნაყოფიერება, რომელსაც მიიღებს საბჭოთა ხელისუფლება ამ ორ სფეროში, იქნება მტკიცე გარანტია მისი საბოლოოდ გაძლიერებისა მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის გაჯანსაღების მტკიცე საფუძვლებს.

4. სასურსათო გადასახადის სრულიად აკრეფა, ეჭვს გარეშე, უზრუნველყოფს ქალაქის დაშლილი მეურნეობის აღორძინებას: თუ ვერ გამოვკვებთ მუშებსა და წითელ არმიელებს, მაშინ ლაპარაკიც კი ზედმეტი იქნება ქალაქის მეურნეობის ინდუსტრიის და მასთან დაკავშირებულ სოფლის მეურნეობის აღორძინებაზე. ამიტომ გლეხმა სავსებით უნდა შეიტანოს სასურსათო გადასახადი, თუ მას სურს გამოვიდეს აუტანელ მდგომარეობიდან და ერთხელ და საბოლოოდ თავი იხსნას სიმშილით სიკვდილისაგან. შეუძლებელია სოფლის მეურნეობის, გლეხობის მეურნეობის აღორძინება, თუ არ აღვადგენთ ქალაქის მეურნეობას და მაქსიმალურად არ განვავითარებთ ინდუსტრიას.

5. სანამ ჩვენ საბოლოო ლიკვიდაცია არ გვიქნია იმპერიალისტური ომის შედეგებისა, მემამულეთა და ბურჟუაზიის ბატონობისაგან დანგრეულ სახალხო მეურნეობისა. სანამ მანეთის კურსი არ გახდება აბსოლუტურად მტკიცე იმდენათ, რომ შესაძლებელი გახდეს ფულის მეურნეობაზე გადასვლა და მით სახელმწიფოს მრავალგვარ მოთხოვნილებათა დაკმაყოფილება,—ეჭვს გარეშეა რომ სასურსათო გადასახადი, რომელიც წარმოადგენს სერიოზულ წყაროს სახელმწიფოებრივ საჭიროებათა და მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებას,—გააჯანსაღებს ჩვენ ეკონომიურ ცხოვრებასა და ფინანსებს.

სასურსათო გადასახადს აქვს სერიოზული მნიშვნელობა პურის ბაზარის მოწესრიგებაში და ამასთან ხელს უწყობს სახელმწიფოს გავლენას პურის ტრიალში და საზღვარს უდებს პურით სპეკულიაციას.

6. ამ გადასახადის აკრეფის მთელი სიმძიმე კისერზე აწევს სასურსათო აპარატს. მაგრამ იმისთვის რომ მან შეძლოს ამ საქმის შესრულება, საჭირო მაქსიმალურად გავაძლიეროთ აგიტაცია მცხოვრებლებს შორის და წავაქეზოთ ისინი ნებაყოფლობითა და თავის დროზე გადასახადის შეტანაზე.

აგიტაციამ უნდა განმარტოს ყოველგვარი უპირატესობა ერთიანი სასურსათო გადასახადის დეკრეტისა, ყველა სხვა ძველ მრავალგვარ გადასახადებთან შედარებით.

7. საბჭოთა ხელისუფლება სისხლი-სისხლთაგანი და ხორცი ხორცთაგანია მშრომელებისა, ცხადია, რომ იგი მჭიდროთ დაკავშირებულია მასთან, მხოლოდ მათ შესახებ ზრუნავს და მთელ თავის ცოდნასა და შესაძლებლობას ხარჯავს **მშრომელთა სულიერი და მატერიალური ძალების** აღორძინებლად. მან შეამსუბუქა შიმშილობისა და დაუთესი მასალის ნაკლებობის ყველა უბედურებანი მიმდინარე წელიწადში. იგი უფასოდ ურიგებდა დამშეულ მცხოვრებლებს—გლეხკაცობას სათესლე მასალას, მიწების დასათესად, რომ მომავალში სიმშილობა თავიდან აგვეცილებია.

ამ ჟამად, როდესაც კარგი მოსავალის იმედია, გლეხობა უნდა დაეხმაროს თავის ხელისუფლებას: უმტკივნეულოდ ჩააბაროს მას სასურსათო გადასახადი. ეჭვს გარეშეა, რომ გლეხობას არც ერთი ხელისუფლების დროს არ მიუღია იმდენი დახმარება, რამდენიც მან მიიღო საბჭოთა ხელისუფლების დროს. მისთვის უზრუნველყოფილია სავსებით **მშვიდობიანი მუშაობა სამუშაო ფრონტზე**

8. საბჭოთა ხელისუფლება, რომელიც სდგას გლეხობის საარსებო ინტერესების დაცვის ნიადაგზე, იცავს მას მტრებისა და სისხლის მწოველთა ყოველგვარ თავდასხმისაგან.

მოვაჭრეებმა, ჩარჩებმა და ვაჭრებმა ისარგებლეს რა გლეხობის უკიდურესი გაჭირვებით ამ ზამთრისა და გაზაფხულის განმავლობაში დასდვეს მათთან საშინელი ჩარჩული ხელშეკრულებანი მომავალი მოსავლის ხარჯზე და ამ რიგად მიიღონდათ ახალი მოსავლის თითქმის ნახევარზე მეტი ნაწილი.

საბჭოთა ხელისუფლება არას დროს არ დაუშვებს გლეხობის ჩარჩებისა და მოვახშეების საშინელ ბრჭყალებში ჩაგდებას. მან, სახალხო კომისართა საბჭოს განსაკუთრებული დადგენილებით გამოაცხადა ყველა ხელშეკრულებანი ჩარჩებისა გლეხობასთან გაუქმებულად.

9. სასურსათო გადასახადი—ყველაზე უფრო ადვილი, მაგრამ ამავ დროს ახალი ფორმაა ბეგარისა გლეხობისათვის. და როგორც ასეთს, ეჭვს გარეშეა, არა არსებითად, ან სიძნელის გამო, არამედ ჩვეულების მიხედვით, გლეხობა შეიძლება მოეკიდოს უარყოფით.

საჭიროა პირველ ხანებში **ფართოდ** გავშალოთ აგიტაცია და პროპაგანდა გლეხკაცობაში **სასურსათო გადასახადისათვის**, როგორც ბეგარის ახალი ფორმისა, მაგრამ ყველაზე უფრო **ადვილისა და მიზანშეწონილისათვის.**

10. სასურსათო გადასაბადის მთელი სიმძიმე გადატანილი უნდა იყვეს „კულაკებსა" და შეძლებულ გლეხობაზე. ამ მუშაობაში უნდა ჩაებას ულარიბესი გლეხობა და მათი აქტიური დახმარებით უნდა იქნეს ატარებული ეს კამპანია.

სასურსათო გადასახადის კამპანიამ უნდა დარაზმოს ულარიბესი გლეხობა. მან უნდა დაანაწილოს სოფელი. მან უნდა გამოგლიჯოს „კულაკების" ბობოლების ბრჭყალებიდან მთელი ულარიბესი გლეხობა. მან უნდა განავითაროს და გაათვითცნობიეროს გლეხობა „კულაკებთან" და ბობოლებთან ბრძოლაში.

11. გლეხობა ხედავს რა იმას, რომ საბჭოთა ხელისუფლება არის ერთად ერთი ხელისუფლება, რომელიც მას მაქსიმალურად უზრუნველყოფს მის მშვიდობიან მუშაობას და შეძლებისდაგვარად უმსუბუქებს ცხოვრების მძიმე ტვირთს ამდენხანს აქტიურად იცავს მას და მის მხრივ არც ერთხელ კრინტიც კი არ დაძრულა.

ამის გამო ამდენხანს ჩვენ კონტრ-რევოლიუციონურ პარტიებს არავითარი გავლენა არ ქონებიათ გლეხკაცობაში და ეხლა მათ სასურ. გადასახადზე სურთ გაზარდონ ცოტათი მაინც თავისი პოლიტიკური კაპიტალი და სასურსათო გადასახადის ნიადაგზე სურთ მათ ააჯანყონ გლეხობა საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ. ჩვენი კონტრ-რევოლიუციონერი, უმთავრესად მენშევიკები, იციან რა მათ რომ სასურსათო გადასახადი უჩვეულო ფორმაა ბეგარისა ჩვენი გლეხობისათვის, სარგებლობენ ამ გარემოებით და თავის სპეციალურად გამოშვებულ პროკლამაციებში ასურათებენ სასურსათო გადასახადს, როგორც სახეს ძველი ბატონყმური ბეგარისას.

ისინი მოუწოდებენ გლეხობას არ ჩააბარონ სასურსათო გადასახადი და წინააღმდეგობა გაუწიონ ამ მხრივ საბჭოთა ხელისუფლებას. მათ სურთ, რომ ჩვენი მუშები და წითელ არმიელები შიმშილობდნენ. მათ სურთ გამოიწვიონ სახელმწიფოში ანარქია და კიდევ უფრო გააძლიერონ სამეურნეო გაპარტახება.

საჭიროა **ფართოდ განუმარტოთ** გლეხობას მენშევიკების აგიტაციისა და წინადადების მთელი სიბოროტე, უნდა მოვაგონოთ გლეხობას ის უბედურებანი და აოხრებანი, რომელსაც მენშევიკები ახდენდენ თავიანთი ბატონობის დროს, როდესაც ისინი ცეცხლითა და მახვილით ანადგურებდენ რევოლიუციონურ გლეხობას, ხოლო ეხლა კი გამოდიან მათი ინტერესების დამცველის როლში.

ყველანი სასურსათო გადასახადის კამპანიისათვის.

ყველანი მენშევიკების პროვოკაციის გამოაშკარავებისაკენ.

სასურსათო გადასახადის სრულიად აკრეფა არის ფუძე გლეხობის კეთილდღეობისა, თითქმის სავსებით განადგურებულ მეურნეობის აღორძინების საფუძველი.

საქართველოს კომპარტიის ცეკას საგიტაციო-**საპროპაგანდო** განყოფილება

მსოფლიო რევოლიუციისათვის

კომუნისტური ინტერნაციონალის აღმასკომმა ამ ბოლო დროს რამოდენიმე ფრიად საყურადღებო მოწოდება გამოაქვეყნა მუშათა კლასისადმი.

არსებითად ეს მოწოდებები ეხებიან ერთი და იმავე რიგის მოვლენებს. ესაა მსოფლიო ბურჟუაზიის მიერ შეტევის გაძლიერება პროლეტარიატის წინააღმდეგ, რასაც ამ ჟამად ადგილი აქვს ყველა კაპიტალისტურ ქვეყნებში. ისტორიის მიერ სასიკვდილოდ განწირული ბურჟუაზია უკანასკნელ ღონეს ხმარობს, რათა გამოაკეთოს და განამტკიცოს ომით და რევოლიუციებით შერყეული თავის ბატონობა, გაამაგროს, ძირმომპალი კაპიტალისტური, წყობილება.

საერთაშორისო მასშტაბით ამ შავი ზრახვის განხორციელების ცდის ერთ ეპიზოდს,—და უმთავრეს ეპიზოდს, წარმოადგენს მისი გაფართოებული ბრძოლა საბჭოთა რუსეთის წინააღმდეგ.

თავის თავად ცხადია, რომ სანამ არსებობს მშრომელთა დიქტატურა დედამიწის ერთ მეექვსედზე, ბურჟუაზიას არ შეუძლია დამშვიდებულად და უშიშრად გრძნობდეს თავს. საბჭოთა ფედერაცია უკვე თავის არსებობის ფაქტით, აგრეთვე რევოლიუციონური მოქმედებით მუდმივ საფრთხეს წარმოადგენს მსოფლიო ბურჟუაზიის ბატონობისათვის. საბჭოთა რესპუბლიკების მუშათა კლასი ზურგს უმაგრებს ჯერ კიდევ კაპიტალის მონობაში მყოფ დანარჩენ ქვეყნების პროლეტარიატს და ამხნევებს მას რევოლიუციონური ბრძოლისათვის.

მეორე მხრივ მსოფლიო ბურჟუაზია არ სთმობს თავის კლასობრივ ინტერესებს რუსეთში როგორც იმიტომ, რომ ეს კიდევ უფრო შეარყევდა მის მატერიალურ ბაზას, აგრეთვე იმიტომაც, რომ ეს იქნებოდა მისი სრული უძლურების დადასტურება, მისი კაპიტულიაცია პროლეტარულ რევოლიუციის წინაშე.

ამიტომაცაა, რომ მსოფლიო ბურჟუაზია ასეთ შეურიგებელ პოზიციაზე დგას და თავგამოდებით იბრძვის საბჭოთა რუსეთის დასამხობად და დასამონებლად. და თუ აქ ის ამ მიზანს მიაღწევს, ამით არა მარტო რუსეთში დაკარგულ სიმდიდრეს დაიბრუნებს და ეკონომიურად მოღონიერდება, არამედ საერთოდ გამაგრდება და შეუდარებლად უფრო იოლად შესძლებს საკუთარ ქვეყნების პროლეტარიატის დამორჩილებას და ექსპლოატაციას.

აქედან ცხადია, თუ რა განუზომელი საერთაშორისო მნიშვნელობა აქვს რუსეთის რევოლიუციის საბოლოო გამარჯვებას ყველა ქვეყნის მუშათა კლასისათვის.

მაგრამ უნდა აღინიშნოს სავსებით, რომ ჯერ კიდევ არა საკმაო სიძლიერით ისმის ამ უკანასკნელის ხმა საბჭოთა რევოლიუციის დასაცავად. და ამაში უდიდესი დანაშაული მიუძღვით ბურჟუაზიის მიერ მოსყიდულ ყვითელ ინტერნაციონალების ბელადებს. ისინი ყოველი საშუალებით სახელს უტეხენ რუსეთის რევოლიუციას და ხელისუფლებას დასავლეთის მუშების თვალში და ცდილობენ ხმა არ ამოაღებინონ მის სასარგებლოდ. მათ მიერ მუშათა ერთიანი ფრონტის ჩაშლა, გენუის და ჰაგის დასაპირდაპირებლად მუშათა მსოფლიო კონგრესის მოუწვევლობა, ესერების პროცესის გარშემო გამართული პროვოკაციული კამპანია და ბევრ სხვა რამ რევოლიუციის და საბჭოთა ხელისუფლების დამარცხების საქმეს ემსახურება.

და თუ მსოფლიო ბურჟუაზიამ გენუის კონფერენციაზე და შემდეგ უფრო მეტი ცინიზმი ჰააგის თათბირზე უმსგავსი თავხედობა გამოიჩინა და ევროპა რუსეთის სამეურნეო აღორძინების მაგივრად საბჭოთა ფედერაციის სრული გაძარცვა და დამონება მოიწადინა,—ამის უმთავრესი მიზეზია საერთაშორისო მუშათა კლასის სისუსტე და დაქსაქსულობა. ბურჟუაზიამ თავის ყვითელი აგენტების დახმარებით შესძლო პროლეტარიატის დიდი ნაწილის გაჩუმება, ამ გარემოებამ ბურჟუაზია გაათამამა და საბჭოთა რუსეთის წინააღმდეგ ბრძოლის გუნებაზე დააყენა. ბურჟუაზიამ ჩაშალა როგორც გენუის, ისე ჰააგის კონფერენცია, და არ არის აცილებელი შესაძლებლობა, რომ ის შეეცდება ძველი გზით და საშუალებით,—იარაღით, შიგნით შეთქმულებათა მოწყობით და სხ., საბჭოთა ხელისუფლების ჩახშობას.

მაგრამ ბურჟუაზიის იერიში მიმართულია არა მარტო საბჭოთა ფედერაციის წინააღმდეგ. იგი ამავე დროს ცდილობს ამოსდოს ლაგამი რევოლიუციონურ ბრძოლის გზაზე გამოსულ დასავლეთის პროლეტარიატს. და ამ საქმეშიც მას გულმოდგინედ უწყობენ ხელს 2 და 2 ნახ. ინტერნაციონალების ხელმძღვანელები.

ამ მხრივ საყურადღებოა კერძოდ გერმანიის ამბები. იმის მაგივრად, რომ ამ ქვეყნის მონარქიულ კონტრ-რევოლიუციის წინააღმდეგ შექმნათ მუშათა ერთიანი ფრონტი, მიეღოთ მონარქისტების ალაგმვლად განსაკუთრებული ზომები, შეედგინათ მუშათა მთავრობა,—სოციალ გამცემლები ფარულად ლახვარს სცემენ ზურგში გერმანიის პროლეტარიატს, ეთანხმებიან ბურჟუაზიულ და მონარქიულ ჯგუფებს, თითქმის ხელუხლებლად სტოვებენ უბოროტეს კონტრ რევოლიუციონერებს და დევნიან რევოლიუციონურ მუშებს, რომელთაც გადაწყვიტეს გენერალური ბრძოლის მიცემა თავაშვებულ კონტრ-რევოლიუციისათვის. ამას მოწმობს რესპუბლიკის თავდაცვის განსაკუთრებული კანონის ისტორიაც, რომელიც (კანონი) ისე დაამახინჯეს, რომ მისი გამოყენება უფრო შეიძლება (და გამოიყენებენ კიდეც) რევოლიუციონური პროლეტარიატის წინააღმდეგ, ვინემ მონარქისტების.

მაგრამ ბურჟუაზიის ასეთ თავდასხმაზე გამოსვლას მუშათა კლასის წინააღმდეგ და მოღალატე „სოციალისტების" ბლოკს ექსპლოატატორებთან ადგილი აქვს არა მარტო გერმანიაში, არამედ მთელ კაპიტალისტურ მსოფლიოში.

მუშათა ხელფასის შემცირება, სამუშაო დღის გადიდება, თეთრი ტერორი ჩვეულებრივ და მასიურ მოვლენის ხასიათს ღებულობს ყველა ბურჟუაზიულ ქვეყნებში.

დომბალის გასამართლება პოლონეთში, ირლანდიის ჯალათის ვილსონის მკვლელების პროცესი, მუშებისათვის წართმევა პრესის, სიტყვის, კრების, ეკონომიურ გაფიცვის თავისუფლების მთელ რიგ ქვეყნებში,—ბურჟუაზიის სიხეცე პოლონეთში, ლატვიაში, ესტონიაში, რუმინიაში, იტალიაში და დანარჩენ სახელმწიფოებში იმას მაჩვენებელია, რომ მსოფლიო ბურჟუაზიას მოუწადინებია სისხლში ჩაახჩოს მუშათა კლასი, გასტეხოს მისი ძალა და წაართვას ის მცირე უფლებებიც, რომლითაც ის სარგებლობს „დემოკრატიულ" წყობილების პირობებში, რათა აღადგინოს თავის განუკითხავი და აღვირახსნილი თარეში.

მდგომარეობა სერიოზულია და მოითხოვს მუშათა კლასისაგან ყველა ძალების ამოძრავებას. კომინტერნის აღმასკომის მოწოდებები ახასიათებენ ასეთ მდგომარეობას და მოუწოდებენ მსოფლიოს მუშათა კლასს დაირაზმოს ერთიანი ფრონტით და გადავიდეს შეტევაზე გათამამებულ ბურჟუაზიის დასამხობად და ძალაუფლების თავის ხელში ჩასაგდებად.

ჩვენ ეჭვი არ გვეპარება, რომ საერთაშორისო მუშათა კლასი შეიგნებს იმ საფრთხეს, რომელსაც უმზადებენ მას ბურჟუაზია და მისი აგენტები—2 და 2 ნახ. ინტერნაციონალიდან, და გაერთიანებული ძალებით ჩაემბება სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლაში ექსპლოატატორთა ხროვის დაუზოგველი აღკვეთისათვის და შრომის სუფევის დასამყარებლად. ისტორია გადამწყვეტ მოქმედებას მოითხოვს მუშათა კლასისაგან, და ეს უკანასკნელიც გამოიჩენს დღევანდელი მომენტის შეგნებას და იარაღით ხელში გამოვა თავის კლასობრივ მიზნების განხორციელების ურყევი გადაწყვეტილებით.

გერმანიის მუშათა კლასს

(კომინტერნის აღმასკომის მოწოდება)

ამხანაგო მუშებო და მუშა ქალებო!

გერმანიაში დღეს ისეთი ამბები ხდება, რომელიც არა თუ აყენებენ გერმანიის პროლეტარიატს სერიოზული ამოცანების წინაშე, არამედ ღირსნი არიან გახდენ ყველა სხვა და სხვა ქვეყნების მუშებისა და მუშა ქალების უდიდესი ყურადღების საგნათ.

გერმანიის სოციალ-დემოკრატიის მეთაური ფილიპე შეიდემანი, რომლის სახელთანაც არის დაკავშირებული უდიდესი ისტორიული ღალატი, რომელიც ჩაიდინა სოციალ-დემოკრატიამ, სწერდა ამ დღეებში გაზ. „ფორვერტსის" ფურცლებზე, რომ ჩვენ ვდგავართ გერმანიის ისტორიის სულ ახალ პუნქტზე ისევე, როგორც ამას ადგილი ქონდა 1914 წლის 4 აგვისტოს. და ამ ახალ პუნქტზე გერმანიის სოციალ-დემოკრატია თავის მე-2 ინტერნაციონალით კვლავ განიცდის უჩვეულ მარცხს. იგი იხსნის თავის ნიღაბს და ჩნდება მთელი ქვეყნის წინაშე, როგორც პარტია უსირცხვილო გამყიდველობისა მუშათა კლასის ინტერესებისა.

რესპუბლიკა გაყიდეს.

ომის განმავლობაში, ყველა თავისი სამარცხვინო მოქმედებათა გასამართლებლად, გერმანიის სოციალ-დემოკრატია ლაპარაკობდა გერმანიის დამოუკიდებლობის დაცვაზე, რომლის გარეშეც შეუძლებელია დემოკრატიის არსებობა და მუშათა მოძრაობის განვითარება. თავისი მომაკვდინებელი ღალატი ნოემბრის რევოლიუციის დროს, სოციალ დემოკრატიამ ისევ ახსნა აუცილებლობით, პროლეტარიატის დიქტატურის დამყარების ცდის თავიდან ასაცილებლად, რომელსაც შეუძლია გამოიწვიოს შედეგათ მხოლოდ მონობა და უბედურებანი, მაშინ როდესაც რესპუბლიკა და დემოკრატია გვიხსნიან ფართო გზას სოციალიზმისაკენ.

და აი ჩვენ ვხედავთ, რომ გერმანიის სოციალ-დემოკრატია უკვე მზადაა ჩაუგდოს ეს ბურჟუაზიული რესპუბლიკა რეაქციის ხელებში.

რა მოხდა.

ჯერ კიდევ გუშინ შეიდემანელებმა კომუნისტებთან ერთად, მუშათა მასების მოთხოვნილების გამო, ხელი მოაწერეს და წარადგინეს მოთხოვნილებანი მონარქისტების წინააღმდეგ განსაკუთრებული კანონების გამოცემის შესახებ, ორ ჯერ გამოიყვანეს მათ მთელი გერმანიის მუშები უდიდეს დემონსტრაციებზე დასამტკიცებლად იმისა, რომ ისინი მზად არიან იბრძოლონ ამ მოთხოვნილებათათვის.

რაღა მოხდა? როგორ ასრულებენ ისინი თავისი წმინდა ფიცს? სიტყვები, ერთიანი პროლეტარული ფრონტის შესახებ მათ ბაგიდან რომ გაისმოდა იყო უბრალო ყბედობა მხოლოდ. მაშინ როდესაც კომუნისტებმა უარი სთქვეს დამოუკიდებლად გამოსვლებზე. მათ კულისებში მოლაპარაკება დაიწყეს ბურჟუაზიულ პარტიებთან და უარი სთქვეს თავიანთ მოთხოვნილებათა ნახევარზე. მათ უარი სთქვეს გერმანიიდან ძველი დინასტიების გაძევების უფლებაზე, თუ გინდ ისინი აშკარად და ცინიკურადაც კი აწარმოებდენ მონარქისტულ პროპაგანდას.

მათ უარი სთქვეს აშკარად დაესაჯათ განსაკუთრებული კანონებით მონარქისტები. უარი სთქვეს რკინის ხელებით ამოეგლიჯათ არმიიდან მონარქისტული ნაშთები და ამით ხელი შეუწყვეს მონარქისტულად განწყობილ მსაჯულებს, ეს განსაკუთრებული კანონი გამოეყენებიათ იმ რევოლიუციონერ მუშათა წინააღმდეგ, რომელნიც იბრძოდენ ბურჟუაზიული რესპუბლიკის პროლეტარულ რესპუბლიკათ გადაქცევისათვის.

და სწორედ ამ დროს, გერმანიის სოციალ-დემოკრატიის საბოლოოდ დამარცხებისა და განადგურების ჟამს, ჰქრის იარაღს გერმანიის დამოუკიდებელ სოციალ-დემოკრატიული პარტია. პარტია, რომლის პროგრამაშიც აღნუსხულია პროლეტარიატის დიქტატურა და საბჭოთა რესპუბლიკა, ახლა სურვილს აცხადებს შევიდეს ბურჟუაზიულ კოალიციონურ მთავრობაში.

იმოქმედეთ თქვენ თვითონ!

გერმანიის მუშებო და მუშა ქალებო! გერმანიის კომუნისტებს ძალიან კარგათ ესმით, რომ ბურჟუაზიული რესპუბლიკა არ არის იარაღი პროლეტარიატის ხელში, მაგრამ მიუხედავათ ამისა, მხოლოდ მათ მოგიწოდებთ თქვენ რესპუბლიკის ნამდვილათ დაცვისაკენ, რომელსაც ყოველ შემთხვევაში, შეუძლია გახდეს საბჭოთა პროლეტარიატის დიქტატურის და სოციალიზმის ბრძოლის ასპარეზათ. მათ უარი სთქვეს ყოველგვარ დამოუკიდებელ გამოსვლებზე, სანამ კიდევ არსებობდა მცირეოდენი იმედიც კი იმისა, რომ სოციალ-დემოკრატია და პროფკავშირთა ბიუროკრატია იბრძოლებდა საკუთარი მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებისათვის.

მაგრამ კომუნისტებს არ შეუძლიათ და არ სურთ გახდენ მონაწილენი გერმანიის პროლეტარიატის მონარქისტული რეაქციისათვის გაცემის საქმისა და აი დადგა უკანასკნელ საათმა, როდესაც ჩვენ თქვენ გეუბნებით: „იმოქმედეთ თქვენ თვითონ"!

ყოველი ღონე იხმარეთ იმისათვის, რომ უარი ათქმევინოთ თქვენ ხელმძღვანელებს ბურჟუაზიასთან კოალიციაზე, დაითხოვოთ რეიხსტაგი და დაიწყოთ ბრძოლა მუშური მთავრობის შედგენისათვის. თუ თქვენ ამას ვერ მოახერხებთ, განდევნეთ თქვენი ხელმძღვანელები და თვითონ დაიწყეთ მოძრაობა, ვინაიდან იმ შემთხვევაში თუ გაიმარჯვებს მონარქისტულ კაპიტალისტური რეაქცია, არა თქვენ ხელმძღვანელებს, არამედ თქვენ, მთელ სახელმწიფოში, ფაბრიკებსა და სახელოსნოებში, მოგიხდებათ აიტანოთ თავაშვებული თეთრი ტერორი მონარქისტულ მკვლელების ბანდებისა

დაარსეთ მოქმედების კომიტეტები.

მუშებო და მუშა ქალებო! მოღალატე მეთაურებისა და ბურჟუაზიის ამ დარაზმულ ძალას თქვენ უნდა დაუპირისპიროთ თქვენი საკუთარი ორგანოები ბრძოლის სახელმძღვანელოდ. უკვე გერმანიის მრავალ ქალაქებში თქვენ დაარსეთ კონტროლისა და მოქმედების კომიტეტები, რომ აქტიურად გაატაროთ ცხოვრებაში შეერთებულად შემუშავებული და წარდგენილი მოთხოვნილებანი.

თუ მეთაურების გამყიდველობა შესწყვეტს ამ გაერთიანებულ მუშაობას, თქვენ საკონტროლო კომიტეტები უნდა გადააქციოთ ბრძოლის ორგანოებათ, რათა შეძლება გექნესთ მოღალატე მეთაურების გარეშე და წინააღმდეგ, განაგრძოთ ბრძოლა მონარქისტული რეაქციის საბოლოო განადგურებამდის. დაარსეთ მუშათა კომიტეტები და იმოქმედეთ განურჩევლად თქვენი პარტიული რწმენისა.

მოქმედების კომიტეტები უნდა გახდენ თქვენი ბრძოლის ხელმძღვანელ ორგანოებათ.

დაუმტკიცეთ თავის მოღალატე მეთაურებს, რომ თქვენ ფარა არა ხართ, რომელიც შეიძლება შერეკონ უკანვე მონარქისტულ ფარეხში.

თქვენმა მეთაურებმა გიღალატეს თქვენ, ბურჟუაზიასთან ბრძოლის შიშის გამო. დაუმტკიცეთ მათ, რომ ისინი უნდა ძრწოდენ მუშათა კლასის წინაშე, რომლის მოთმინების ფიალაც აივსო ამდენი გამყიდველობის გამო.

ძირს კოალიციონური მთავრობა!

ძირს აშკარა და ნიღაბ აკრული მონარქისტები!

ძირს მონარქიის სოციალ-დემოკრატიული მოკავშირენი!

გაუმარჯოს ბრძოლას მუშური მთავრობისათვის!

გაუმარჯოს რევოლიუციონურ მუშათა კლასის ერთიან რევოლიუციონურ ფრონტს!

გაუმარჯოს მუშათა რევოლიუციონურ მოქმედების კომიტეტებს.

კომინტერნის აღმასკომი.

ქ. მოსკოვი 18 ივლისი 1922 წ.

საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკა

რადიო-დეპეშები

(„კავროსტა“)

გერმანიის ამბები

გერმანია და საფრანგეთი.

ნაუენი. 1 აგვისტო (რადიო). მარკის კურსის უკანასკნელ ხანებში დაცემა ბერლინში გამოწვეულია საფრანგეთის ნოტით, გადასახადების შემცირებაზე უარის თქმის შესახებ. ამ ნოტამ მნიშვნელოვანად გაართულა პოლიტიკური მდგომარეობა. გერმანული გაზეთები ამბობენ, რომ გერმანიას ხელახლა მოესპო საშუალება იმოქმედოს მოკავშირეთა სურვილების თანახმად.

გაზ. „ობსერვერი“ აფრთხილებს პარიზს, რომ მეტად სახიფათოა ის თვალსაზრისი, რომ ბიუჯეტი ხიშტებით იქნება მიყვანილი ბალანსამდე.

გაზ. „ნიუ-ისრე-გერალდის“ აზრით საკონტრიბუციო კომისია, მიუხედავად იმ პოზიციისა, რომელიც უკავია პარიზს, მიანიჭებს გერმანიას ვალების გადახდის ვადას და გადასახადების შემცირებას.

გაზეთს არ სჯერა, რომ ინგლისი, იტალია და ბელგია დაუშვებენ საფრანგეთის თვითნებობას... გარანტიების საერთაშორისო კომისია თავის მოხსენებაში ამბობს, რომ გერმანიას შეუძლია შეაგროვოს 300.000 მილ. მარკამდე (ოქროთი) და გაადიდოს მრავალი ახალი გადასახადების შემოღებით.—მაგრამ ეს ზომები მეორე ხარისხოვანი ხასიათისანი არიან. უმთავრესია კაპიტალების საზღვარ-გარეთ არ გაშვება და მარკის სტაბილიზაცია.

რომი. 1 აგვისტო (რადიო). გუშინ გერმანიის რამოდენიმე ქალაქში გაიმართა პაციფისტური მანიფესტაციები.

კონტრიბუცია.

კროიდონი. 1 აგვისტო (რადიო) ბელგიის პრემიერმა განაცხადა, რომ საჭირო იყო ბანკირები კვლავ შეკრებულიყვნენ და განეხილათ საკითხი გერმანიის გადასახადის შესახებ არა მარტო ეკონომიური, არამედ პოლიტიკური თვალთსაზრისითაც.

ესერების პროცესი

უკეთებს რა რეზიუმეს თავის სიტყვას კრილენკო გადადის კანონების სწორ ფორმულიროვკაზე ბრალდებულთა მოქმედების შესაფასებლად. კრილენკო აყალიბებს თვითეულ ბრალდებულის დანაშაულობას და მიუთითებს კანონის იმ მუხლებზე, რომლის ძალითაც ბრალდებულებმა უნდა აგონ პასუხი. „ტრიბუნალი, ამბობს კრილენკო, სასჯელის საკითხის განხილვის დროს, ვალდებულია გამოვიდეს პირველ ყოვლისა იმ საერთო ხასიათის მოსაზრებიდან, რომელიც მოყვანილია სისხლის სამართლის კოდექსის საერთო ნაწილში. კოდექსის ეს ნაწილი იხილავს სასჯელს, როგორც ღონისძიებას ახალ დანაშაულთა წინასწარ აღკვეთისა და დამნაშავეთათვის საშუალების მოსასპობად მომავალშიაც არ ჩაიდინონ ასეთი დანაშაული. კრილენკო აღნიშნავს, რომ სასამართლოს აქვს უფლება, თავის შინაგანი რწმენისა და საქმის გარემოებათა მიხედვით არ მიუსაჯოს ბრალდებულს სასჯელი, შეუძლია აღნუსხოს თავისი მოქმედების მოტივები და შევიდეს შუამდგომლობით სრულიად რუსეთის ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტის პრეზიდიუმში. ტრიბუნალს შეუძლია შეასუსტოს ბრალდებულთა პასუხისმგებლობა, რომელნიც არავითარ საფრთხეს რესპუბლიკისათვის არ წარმოადგენს, ვინაიდან ჩვენი სისხლის სამართლის კოდექსი კი არა სჯის (დამახინჯებულია), არამედ იცავს რესპუბლიკას სოციალურად საშიშ ელემენტებისაგან.

კრილენკო მოითხოვს სასჯელის უდიდეს ზომას პირველი ჯგუფის ყველა ბრალდებულთათვის ბერანის, სტობანის და მარგომეცკის გამოკლებით.

„ჩვენი მიზანია, ამბობს კრილენკო, ტრიბუნალის მიზანია, პირველ ყოვლისა დასვას საკითხი ამ პირთა საშიშროების შესახებ რესპუბლიკისათვის. ტრიბუნალი არის მუშათა კლასის კლასიური ბრძოლის ორგანო, რომელიც მიმართულია პროლეტარიატის მტრების წინააღმდეგ. ამიტომ მე ვფიქრობ, რომ ამ პირთა მთელი ჯგუფის სასჯელის ზომის საკითხის დასმის დროს, გარდა მათისა, ვინც მე გამოვყავი, შესაძლოა მხოლოდ დახვრეტის მისჯა, ყველა იმ დანაშაულებისათვის, იმ სისხლისათვის, იმ სამონელებისა და მთელ იმ ტანჯვა-ვაებისათვის, რომელიც ჩვენ ამ ხუთი წლის განმავლობაში განვიცადეთ და რომელიც დაატეხეს თავს რესპუბლიკას იმ პირებმა, რომელთაც აქ განაცხადეს, რომ ისინი მომავალშიაც არ დაანებებენ თავს, რომ მთელი თავისი ფიზიკური და გონებრივი ძალები მოახმარონ იმას, რომ მომავალშიაც მიაყენონ ზიანი ჩვენ საქმეს, რისთვისაც ჩვენ ვიბრძვით 5 წლის განმავლობაში. ჩვენ ტანჯვით მოვიპოვეთ უფლება ჩვენი მტრებისაგან თავდაცვისა—ათავებს კრილენკო მთელი დარბაზის ხანგრძლივი ტაშით.

კრილენკოს სიტყვა გაგრძელდა 16 საათი და დამთავრდა ღამის 2 საათზე 29 ივლისს.

— 31 ივლისის სხდომაზე გენდელმანი იწყებს სიტყვას (გამოტოვებულია)... ამ პროცესის პოლიტიკურ მნიშვნელობის გამოსარკვევად, ის ამბობს, რომ ამ პროცესით კომუნისტების პარტიას სურს დაამტკიცოს რომ კომუნისტები არიან ნამდვილი რევოლიუციონერები. გენდელმანი ფიქრობს, რომ პროცესი გამოიგონეს მხოლოდ იმისათვის, რომ კომუნისტებმა იციან, რომ საბჭოთა ხელისუფლების ყველაზე უფრო საშიში მოწინააღმდეგე არის ესერების პარტია და არა მემამულეები და ბურჟუები.

შემდეგ გენდელმანი გადადის მხილებათა განხილვაზე, რომელიც წარმოადგინეს სახელმწიფო ბრალმდებელებმა ბრალდებულთა წინააღმდეგ. გენდელმანი იწყებს ტერორისტულ აქტებიდან და ამტკიცებს წინანდებურად, რომ ესერების პარტია ტერორის წინააღმდეგი იყო. გენდელმანი უარყოფს ტერორისტულ აქტის მოწყობას სახალხო კომისართა საბჭოს მატარებლის წინააღმდეგ და გამოგონებულ ამბად სთვლის ლენინზე პირველ თავდასხმას, სცდილობს რა ძველი ვექილის ფანდებით გააბათილოს მოწმეთა ჩვენება. ის უარყოფს პარტიის მონაწილეობას და ცეკას წევრთა სანქციას ვოლოდარსკის მკვლელობაში და ლენინზე თავდასხმის მოწყობაში. გენდელმანს მოჰყავს ის მოსაზრება, რომ ვითომ კონოპლიოვამ და ეფიმოვმა, ლენინზე თავდასხმის სახით, მოაწყეს საქორწილო მოგზაურობა მოსკოვში. გენდელმანს ეჭვი ეპარება, რომ ასეთ პირობებში შესაძლებელი იქნებოდა საწამლავი „კურარეს“ მიღება. გენდელმანი ამტკიცებს, რომ ესერების პარტიული წრეები არა თუ არ აწყობდენ წინამძღოლთა წინააღმდეგ დამოუკიდებელ ტერორისტულ აქტებს, არამედ აკავებდენ მუშათა მასებს ბოლშევიკურ წინამძღოლებისადმი თვით გასამართლების („სამოსუდის“) წინააღმდეგ. სავსებით კომიკურია გენდელმანის განცხადება, რომელიც ამტკიცებს, რომ ვითომ ესერები იცავდენ საბჭოთა წინამძღოლებს გაფთრებულ მუშების თავდასხმისაგან. ეხება რა მთელ იმ პერიოდს, რომელშიაც მოხდა ვოლოდარსკის მკვლელობა, გენდელმანი ამტკიცებს, რომ არავითარი სპეციალური ორგანიზაცია ამ მკვლელობის მოსახდენად არ არსებობდა. მხოლოდ იყვნენ სერგეევი, სემინოვი და სხვა „დრუჟინიკები“. მიუხედავად ყველა ბრალდებულ მებრძოლთა (ბოევიკი) ჩვენებების სრული თანხმობისა, გენდელმანი უარს ყოფს იმით, რომ ის განზრახ აბნევს პროცესში მონაწილეებს. გენდელმანი უარყოფს აგრეთვე იმას, რომ ესერების პარტიას არავითარი დამოკიდებულება არ ჰქონდა ურიცკიზე თავდასხმის მოწყობასთან.

უარყოფს რა შემდეგ ლენინზე თავდასხმას გენდელმანი იჭვიანობს და უარყოფს სანქციას, რომელიც მისცა დონსკოიმ კაპლანს და აცხადებს, რომ ესერების პარტია ფიქრობდა, რომ კაპლანი აკეთებდა მეტად მნიშვნელოვან საქმეს რევოლიუციის თვალსაზრისით.

ტიმოფეევის სიტყვა.

მოსკოვი. 2 აგვისტო (რადიო) ტიმოფეევი იწყებს თავის სიტყვას კატეგორიული განცხადებით, რომ ბრალდებულებს არა აქვთ განზრახვა არც შეინანონ და არც უარყონ თავიანთი მოქმედება. „თქვენის თვალსაზრისით ამბობს ტიმოფეევი, ჩვენ ვართ შეუნანებელი დამნაშავენი, რეციდივისტები.“

ტიმოფეევის სიტყვა ეხება ესერების პარტიის ურთიერთობას უცხოეთის სახელმძღვანელოებთან. ტიმოფეევი ამტკიცებს, რომ ურთიერთობა იყო, მაგრამ არა იმ პირებთან და იმ მიზნებით, რომლის შესახებაც აქ ბრალმდებელი ლაპარაკობდა. „ჩვენი დამოკიდებულება დესანტთან და მოკავშირეთა დამოკიდებულება სულ სხვა და სხვა იყო: მოკავშირეებს უნდოდათ დესანტი და საოკუპაციო მტაცებლობა, ესერები მოითხოვდენ დესანტის დახმარების და განმტკიცების მიზნით.“

შემდეგ ტიმოფეევი ამტკიცებს, რომ მოკავშირეებისაგან ესერების პარტიას ფული არ აუღია არც მოსკოვში, არც კიევში და მოკავშირეებთან არავითარი შეთანხმება საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ ბრძოლის საწარმოებლად მას არ დაუდვია. ეხება რა აღმოსავლეთის ფრონტს, რომელიც ვითომც და მიმართული იყო გერმანელების წინააღმდეგ, ტიმოფეევი აცხადებს, რომ ფრონტი (დამახინჯებულია)... არ აძლევდა საშუალებას საბჭოთა ხელისუფლებას დაებრუნებია გერმანიისათვის სამხედრო ტყვეები, რომელნიც ვოლგის მხარეში იმყოფებოდნენ, რასაც გერმანიისათვის უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა. ტიმოფეევი ამბობს, რომ როგორც აი ომი გათავდა, ესერებმა გაბედული პროტესტი განაცხადეს ინტერვენციის წინააღმდეგ, რაც აღნიშნული იყო პარტიის მე-9-ე ყრილობაზე. სანამ ბრძოლა სწარმოებდა, ესერებმა გადასწყვიტეს შეედგინათ საკუთარი ხელისუფლება. ისინი პროტესტს აცხადებდენ საზღვარგარეთ საბჭოთა ხელისუფლების აღიარების წინააღმდეგ მაგრამ როდესაც საბჭოთა ხელისუფლება ფაქტიურად გახდა სრულიად რუსეთის ხელისუფლებად, ესერებმა მხარი დაუჭირეს მის ცნობას და ეხლაც არიან მომხრე საბჭოთა ხელისუფლების აღიარებისა არა მარტო დეფაქტოთ, არამედ დე იურეთაც.

ეს განცხადება ტიმოფეევისა, დიამეტრალურათ ეწინააღმდეგება ადმინისტრატიულ ცენტრის მთელ მუშაობას და იმ დებულებებს, რომელსაც თავის წერილში ანვითარებს ჩერნოვი საზღვარგარედ.

ეხება რა ადმინისტრატიულ ცენტრის მუშაობას, ტიმოფეევი აცხადებს, რომ (გამოტოვებულია).. სიტყვის დასასრულში ტიმოფეევი ეკამათება ბოლშევიკებს და აცხადებს:

„ჩვენ ერთი გზა არ გვაქვს. ჩვენ დავრჩებით მათთან, ვისაც თქვენ სოციალ-გამყიდველებს უწოდებთ.“

გოცის სიტყვა.

1 აგვისტოს დილის სხდომაზე გოცი, ეხება რა იმ საკითხებს, რომელიც დაკავშირებულია სამოქალაქო ომის დასაწყისთან, არ უარყოფს იმას, რომ ოქტომბრის გადატრიალების მიზნებს იზიარებდენ მშრომელთა ყველა მასები, რომ ესერების პარტიის მეორე ყრილობამ დაადასტურა ეს გადატრიალება. გოცი აღიარებს, რომ ყრილობა იძულებული იყო ასე მოქცეულიყო, რადგან გადატრიალება მომხდარი ფაქტი იყო. „ოქტომბრის გადატრიალების შემდეგ,—ამბობს გოცი ესერების პარტიის წინაშე არა ერთხელ იდგა საკითხი თებერვლის რევოლიუციის მონაპოვართა დაცვის შესახებ. ესერები აშკარად ებრძოდენ ბოლშევიკებს. ცეკამ მომანდო მე მომეწყო შეიარაღებული ძალა ბოლშევიკების წინააღმდეგ. თუ რომ ბრძოლის წარმოება მოგვიხდა სამშობლოს და რევოლიუციის დაცვის დროშის ქვეშ, ეს მოხდა არა იმიტომ, რომ ესერებს უნდოდათ შირმა ჩამოეფარებინათ პარტიისათვის და დაემალათ თავისი მონაწილეობა ბოლშევიკების წინააღმდეგ წარმოებულ ბრძოლაში, არამედ იმიტომ, რომ თავდაცვის კომიტეტი იყო „უფრო ძლიერი და ფართო ორგანიზაცია“, ვინაიდან მასში შედიოდენ ყველა დემოკრატიული პარტიები და მხოლოდ ამ დროშის ქვეშ შეიძლებოდა უფრო ადვილად მიგვეღწია გამარჯვებას.

შემდეგ გოცი ლაპარაკობს იუნკრების აჯანყების შესახებ, რომელსაც ის თავისებურად აშუქებს და ბოლოს გადადის შეიარაღებულ გამოსვლებზე „უჩრედილკის“ დასაცავად. გოცი ამტკიცებს, რომ გამოსვლა არ მოხერხდა მხოლოდ იმიტომ, რომ ესერებს არ ჰყავდათ საკმაო ძალები. დემონსტრაცია იყო არა შეიარაღებული, რადგან ესერების შეიარაღებული ძალები არ გამოსულან. გოცი 5 იანვარს სთვლის ბოლშევიკების ტაქტიკის შეცვლის დღეთ.

შემდეგ გოცი ჩერდება ხალხის ბატონობის უპირატესობაზე პროლეტარიატის დიქტატურის წინაშე.

გადადის რა ესერების სამხედრო მუშაობის დახასიათებაზე. გოცი აღნიშნავს, რომ ამ მუშაობის მიზანი იყო მხოლოდ ძალების დაგროვება. ეს გაგრძელდა, მისი აზრით პარტიის მე-8 ყრილობამდე მხოლოდ მე-8 ყრილობამ დაადგინა ხელახლა სცადონ შეიარაღებული ბრძოლა ბოლშევიკების წინააღმდეგ. ესერების დამარცხების მიზეზად გოცს მიაჩნია წითელ-არმიის და საბჭოთა რესპუბლიკის დაცვის სხვა ორგანოების ჩქარი ორგანიზაცია.

სამარის ფრონტზე დამარცხების შემდეგ ესერების პარტია იძულებული იყო დაეწყო ბრძოლა რეაქციის წინააღმდეგ, რომელიც მაშინ დიდ საფრთხეს წარმოადგენდა.

ამიტომ იყო, რომ ესერების პარტიამ უარი სთქვა ბოლშევიკების წინააღმდეგ შეიარაღებულ ბრძოლაზე და გადასწყვიტა ეწარმოებინა პოლიტიკური ბრძოლა.

ეკამათება რა სიტყვის დასასრულში პოკროვსკის, გოცი ჩერდება პოკროვსკის სიტყვის დასკვნაზე რომელიც მოითხოვდა ტრიბუნალისაგან ესერების ბურჟუაზიულ და რეაქციონურ პარტიად აღიარებად. გოცი გაიძახის: „ჩვენ ვიყავით და დავრჩებით კიდეც სოციალისტებად, შემდეგშიც ჩვენ ვიმუშავებთ ისევე, როგორც ვმუშაობდით დღემდე“

წითელ რესპუბლიკებში

მთიულეთის რესპუბლიკა.

კავკავი. (დეპეშით). მთიულეთის საოლქო პარტკომმა, მიიღო რა მხედველობაში ადგილობრივ პრესის მატერიალურ საშუალებების სიმცირე და აგრეთვე მე 19 ყრილობის დადგენილება, რომ რუსეთის კომპარტიის თითეული წევრი არის ერთსა და იმავე დროს როგორც მკითხველი ისე ხელის მომწერი გაზეთის, დაავალა ყველა მუშაკებს ხელი მოაწერონ გაზეთზე ინდივიდუალურად, ან კოლექტიურად პასუხის მგებელი მუშაკები, რომლებიც ღებულობენ გაზეთებს თანამდებობის მიხედვით, ვალდებულნი არიან ხელი მოაწერონ ცალცალკე თითოეულმა, და გამოწერილი ეკზემპლიარი გადასცენ მთიულეთის საოლქო პარტკომს.

მთიულეთის „კულაკები“

მთიულეთის „კულაკები“ საგულისხმო ზომებს ღებულობენ გამოცემულ დეკრეტის გამო, რომელიც აუქმებს ძველებურ ხელშეკრულების წეს მოსავლის შესახებ, ადგილი აქვს ზოგიერთ შეუგნებელ გლეხობის თავისუფალ შეთანხმებაში ჩათრევას. ცოტას დაუკლებენ, გაუმასპინძლდებიან შეჰპირდებიან სიკეთეს მომავალში, და მსხვერპლი თანხმდება ძველებურ პირობებზე. ზოგიერთები ემუქრებიან მოწინააღმდეგებს კრედიტის შეწყვეტით. დეკრეტმა მაინც ბევრ მსხვერპლს აუხილა თვალები.

მოსავლის დღესასწაული.

განვლილ მოსავლის დღესასწაულზე მთიულეთის რესპუბლიკაში ოსეთში, საჩეჩნეთში და ინგუშეთში. მთიულები სიხარულით გამოსთქვამდნენ თავიანთ მადლობას საბჭოთა ხელისუფლებისადმი, რომელმაც გაანთავისუფლა ღარიბები და მით მისცა მათ საშუალება მოსავლის თავის საკუთრებად მოწევისა.

ინიციატივა იზრდება.

საბჭოთა ხელისუფლების დროს ინიციატივის თავისუფლება აშკარად მოსჩანს მთიულეთის სოფლებში. ოსეთში სოფელ ალტოვსკში მოწყობილია კარგი წისქვილი. სოფელ. ბაქნუზდალში შეუდგენ ადგილობრივ სიმდიდრეთა ელექტროფიკაციას და კოხში შემოღებულია სამრეწველო მებაღეობა. კარჯინში გააფართოვეს სამრეწველო მებოსტნეობა და მებაღეობა.

კაპიტალიზმის სამეფოებში

ბერძნები და კონსტანტინოპოლი.

ნაუენი. 1 აგვისტო (რადიო). სახელმწიფოებმა უარყვეს საბერძნეთის თხოვნა, კონსტანტინოპოლის დაკავების ნებადართვის შესახებ. ბრიტანეთის რეზერვები გავიდენ მალტიდან კონსტანტინოპოლში. ბერძნებმა გადმოსხეს როდოსკოში 25.000 კაცი და გაუგზავნეს ანგორას ულტიმატუმი, რომელიც მოითხოვს ანტანტის სამშვიდობო წინადადების მიღებას.

ქემალისტებს განზრახვა აქვთ აწარმოვონ შემოტევა კონსტანტინოპოლზე, თუ რომ ბერძნები გადალახავენ ჩატალჯის ხაზს. საბერძნეთის არმიას განზრახული აქვს ანტანტის სამშვიდობო წინადადების წინააღმდეგ, დარჩეს სმირნაში მომავალ მტრებისაგან ქალაქის დასაცავად.

კონსტანტინოპოლის რაიონში.

ბორდო. 1 აგვისტო (რადიო). გაზ. „ტაიმსი“ აბათილებს ცნობებს, ჩატალჯის საზღვარზე ფრანგებსა და ბერძნებს შორის მომხდარ შეტაკებისა და ბერძნების რეგულიარულ ჯარებს და ოსმალებს შორის სროლის ატეხის შესახებ. ხმებმა, ბერძნების სამზადისის შესახებ, გამოიწვია კონსტანტინოპოლში მცხოვრებთა ევროპიულ ნაწილიდან აზიურ ნაპირზე გადასახლება.

უმაღლესმა კომისრებმა არწმუნეს

კაპიტალისტების მიერ ცარცვა რუსეთისა მსოფლიო მეურნეობის აღორძინების ნიღაბის ქვეშ

მთელი ქვეყნის მუშებსა და მუშა ქალებს!

ამხანაგებო მუშებო და მუშა ქალებო?

ჰააგის ზონფერენცია დასრულდა. უკანასკნელი ცდა კაპიტალისტური სამყაროსი აღადგინოს მშვიდობიანი დამოკიდებულება საბჭოთა რუსეთთან და დაიწყოს მისი სამეურნეო აღორძინება, აღმოჩნდა ცინიკური მისწრაფებათ რუსეთის მუშებისა და გლეხკაცობის მსოფლიო კაპიტალისათვის დამორჩილებისა. მაგრამ ეს მისწრაფება დაირღვა საბჭოთა მთავრობის გადაჭრითი წინააღმდეგობაზე. ჩვენ ვიცით როგორ საშინლად გჩაგრავთ თქვენ კაპიტალისტური ექსპლოატაცია. ჩვენ ძალიან კარგად გვესმის, რომ ის შემოტევა, რომელსაც აწარმოებენ კაპიტალისტები სამუშაო ხელფასის შემცირების მიზნით, სამუშაო დროის გასადიდებლათა და პროფკავშირების გასანადგურებლად იპყრობს მთელ თქვენს ყურადღებასა და ძალას და არ გაძლევთ თქვენ საშვალებას თვალი მიაპყრათ მსოფლიოში გაბატონებულ კაპიტალისტების სხვა ნამოქმედარს. და მიუხედავად ამისა, ჩვენ მიგვაჩნია ჩვენ მოვალეობათ მივაქციოთ თქვენი ყურადღება ჰააგის ამბებზე. აქ საქმე ეხება არა მარტო რუსეთის მუშებსა და გლეხობას, არა მარტო რუსეთის რევოლიუციის ინტერესებს, თუმცა ეს ინტერესები იმდენათ მნიშვნელოვანი არიან, რომ ღირსი გახლავენ თქვენი ყურადღებისა, აქ საქმე ეხება თქვენ საკუთარ სასიცოცხლო ინტერესებს, პირადათ თქვენ მომავალს. უდიდესი დანაშაული 2 და 2 ნახევარი ინტერნაციონალების სოციალ-დემოკრატიული პარტიებისა არის ის, რომ ისინი გენუიის კონფერენციის და შემდეგ ჰააგის დროსაც. არა თუ მოგიწოდებდენ თქვენ ძლიერი გავლენა მოგეხდინათ კაპიტალისტურ სახელმწიფოებზე, არამედ, პირიქით, ზურგში მახვილს სცემდენ საბჭოთა რუსეთს.

საბჭოთა რუსეთი და კაპიტალისტური სამყარო.

საბჭოთა რუსეთი არის პირველი სახელმწიფო მსოფლიოში, სადაც მუშებმა გლეხების დახმარებით, დაიპყრეს ხელისუფლება. კაპიტალისტური სამყარო შეეცადა იარაღით ხელში ძირს დაემხო საბჭოთა რუსეთი. პირველი ცდა ამისი მოახდინა გერმანიის იმპერიალიზმა. მაგრამ თვით ის უფრო ადრე აღმოჩნდა განადგურებული ნანგრევებს ქვეშ, ვინემ ეს მან სხვისთვის შესძლო. შემდეგ მოკავშირეთა კაპიტალისტები მთელი ორი წლის განმავლობაში სცდილობდენ მოეხდინათ იგივე მათ მიერ შედგენილ თეთრი არმიების საშუალებით. რუსეთის მუშებმა და გლეხებმა მოიგერიეს ეს შემოტევა გმირულ თავდაცვაში. დაიცვეს რა დამოუკიდებლობა თავისი ქვეყნისა, მათ მიმართეს კაპიტალისტურ სახელმწიფოებს სამშვიდობო წინადადებით. მათ შესძლეს ზავის ჩამოგდება უახლოეს მეზობლებთან—პოლონეთთან, ლიტველ, ლატვიის, ესტონიის და ფინლიანდის ანტანტის წვრილ ვასალებთან, რომელთაც ეშინოდათ არ ყოფილიყვნენ გაჭყეტილნი რუსეთისაგან იმ შემთხვევაში თუ ისინი უარს იტყოდენ სამშვიდობო ხელშეკრულებაზე. საბჭოთა რუსეთმა შესძლო ინგლისთან სავაჭრო ურთიერთობის აღდგენა, რომელსაც იმედი ჰქონდა ამით ხელი შეეშალა რუსეთის რევოლიუციონურ მუშაობისათვის აღმოსავლეთში. ასეთივე სავაჭრო ურთიერთობა შესძლო მან დაეჭირა ჩრდილოეთის პატარა კაპიტალისტურ სახელმწიფოებთან, რომელთა სამეურნეო კრიზისმაც აიძულა ისინი გამოეძებნათ რუსეთში ბაზარი თავის საქონლის რეალიზაციისათვის, მან ბოლოს და ბოლოს აიძულა გერმანიის ბურჟუაზია აღედგინა სრული დიპლომატიური ურთიერთობა საბჭოთა რუსეთთან. მიუხედავად მისი იმედებისა ანტანტის მხრივ შებრალებაზე, მიუხედავად მთელი თავისი სიმხდალისა, ამ ბურჟუაზიის, საბჭოთა რუსეთზე გამარჯვების, თავისი იმედების დამსხვრევის შემდეგ, უნდა შეეგნო, რომ თუ მას სურდა თავი ეხსნა ანტანტის საშინელი ექსპლოატაციისაგან, მას უნდა ეცხოვრა რუსეთის ხალხთან მშვიდობიან დამოკიდებულებაში.

საბჭოთა რუსეთი სცდილობდა ჩამოეგდო ზავი კაპიტალისტურ სახელმწიფოებთან, რადგანაც ღრმად იყო დარწმუნებული იმაში, რომ მხოლოდ მშვიდობიან პირობებში საკუთარი მეურნეობის აღორძინებით, იგი შეიძლებდა მნიშვნელოვანი როლი ეთამაშნა პროლეტარიატის მომავალ განმანთავისუფლებელ მოძრაობაში. საბჭოთა რუსეთი ილტვოდა ზავისაკენ იმისთვის, რომ სურდა წაერთმია კაპიტალისტებსსთვის შესაძლებლობა წაესიასინებია კომუნიზმისთვის შეუგნებელი მუშათა მასები, როუთხრობდენ ზღაპრებს, თითქოს საბჭოთა რუსეთს სურდეს იარაღის ძალით მოეხვია მათთვის თავზე კომუნიზმი.

საბჭოთა რუსეთს სურდა ზავი იმისათვის, რომ განეახლებია სავაჭრო გაცვლა-გამოცვლა, რაც აუცილებელი იყო რუსეთის სახალხო მეურნეობის აღსადგენათ. რადგანაც თქვენ, მუშებო და მუშა ქალებო, ჯერ კიდევ არ დაგიპყრიათ ხელისუფლება, და არა გვაქვთ საშვალება მოგვაწოდოთ ჩვენ, რუსეთის მუშებისათვის საჭირო მანქანები და მრეწველობის იარაღები, ამიტომ საბჭოთა რუსეთი იძულებული გახდა ზომები მიეღო მათი კაპიტალისტებისაგან მისაღებათ.

საბჭოთა რუსეთმა ძალიან კარგათ იცის, რომ კაპიტალისტებთან ზავის ჩამოგდება მას დაუყენებს წინ მსხვერპლის გაღების აუცილებლობას, თქვენ, მუშებო, რომ იდგეთ მსოფლიო მეურნეობის სათავეში, თქვენ თვითონ გაიგებდით, რომ თქვენივე საკუთარი ინტერესები გიკარნახებდათ დახმარება აღმოგეჩინათ მუშათა რესპუბლიკისათვის თქვენ განკარგულებაში არსებული ყველა საშვალებებით, რომ მას შეძლება ქონებოდა მანქანების სამაგიეროთ მიეცა თქვენთვის პური. კაპიტალისტური სამეფო დაუძინებელი მტერია საბჭოთა რუსეთისა. და საბჭოთა რუსეთს ძალიან კარგად ესმოდა, რომ თუ იგი მიუხედავათ ყოველივე ამისა, მაინც სცდილობს მიიღოს მათგან სამეურნეო დახმარება, მას დასჭირდება საამისოთ მსხვერპლის გაღება და იძულებული გახდება ამასთან ერთად იხადოს ჩარჩული პროცენტები. საბჭოთა რუსეთმა განაცხადა,—დიდი დათმობათა საფასურით,—ეყიდა საზავო ხელშეკრულება კაპიტალისტურ ქვეყნებისაგან.

კაპიტალისტურმა მთავრობებმა მოსთხოვეს საბჭოთა რუსეთს, ზავის ჩამოგდების აუცილებელ პირობის სახით, მეფის მთავრობის და კერენსკის მთავრობის ვალების ცნობა. მათ მოითხოვეს დაბრუნება იმ ფაბრიკებისა და მაღაროებისა, რომელნიც წინათ ეკუთვნოდენ უცხოელ კაპიტალისტებს და რომელიც ოქტომბრის რევოლიუციამ გადასცა მფლობელობაში რუსეთის მშრომელ ხალხს. საბჭოთა რუსეთი მათ უპასუხებდა, რომ მეფე იღებდა ვალებს რუსეთის მუშა ხალხის თანხმობის გარეშე და რომ იგი ამ სესხს ახმარებდა ამ უკანასკნელთა მოძრაობის ჩაქრობას და ექსპლოატაციას. ეს ვალი რუსეთის ხალხმა გადიხადა იმ ზღვა სისხლით, რომელიც მან დაანთხია მოკავშირეებთან გვერდით ყოფნის დროს, ანტანტის ბირჟების მაკლერების ინტერესების გამარჯვებისათვის. და მათი სახელისათვის მოკავშირეები თავს დაესხენ საბჭოთა რუსეთს ისე, რომ საბჭოთა მთავრობისათვის ომი არც კი ქონებიათ გამოცხადებული! მათმა ინტერვენციამ მოუტანა რუსეთს გაპარტახება, რომელიც ბევრად აღემატება მისსავე ვალებს. ამ რიგათ, მათ მოთხოვნილებათ არავითარი საფუძველი არა აქვს გარდა უხეში ძალისა, გარდა რუსეთში არსებული შიმშილობაზე სპეკულიაციისა, იმ უბედურებათა სპეკულიაზე, რომელსაც დღეს იტანს იძულებით რუსეთის ხალხი, საბჭოთა ხელისუფლება ანგარიშს უწევს ამ უბედურებათ და ამიტომ თანახმაა იცნოს ეს ვალები, მაგრამ გონივრულ ფარგლებში და ერთი აუცილებელი პირობის დაცვით, რომ მოკავშირეებმა, კრედიტების სახით, მისცენ საშვალება საბჭოთა რუსეთს დაჩქარებით აღორძინოს თავისი სახალხო მეურნეობა და შემდეგ დაიწყოს მოვალეებთან ანგარიშების გასწორება. რაც შეეხება ფაბრიკებსა და მაღაროებს, რომელნიც ეკუთვნოდათ უცხოელ კაპიტალისტებს, საბჭოთა რუსეთმა ამის შესახებ განაცხადა, რომ იგი არავითარ შემთხვევაში არ დასთანხმდება მათ უკანვე დაბრუნებას. ის ფულები, რომლითაც შენდებოდენ ეს ფაბრიკები, გამოწოვილი იყო მათივე სახელმწიფოს მუშათა შრომიდან.

ამავე ფულებით საკმარისი ოფლი და სისხლი ამოსწუწნეს უცხოელ კაპიტალისტებმა რუსეთის მუშებისაგანაც. რუსეთის პროლეტარიატს არ შეუძლია ამ ფაბრიკების დაბრუნება, რადგანაც მხოლოდ მათი მომავალი განვითარების წყალობით, იგი შეძლებს დაამუშავოს სამეურნეო ღირებულებანი, განადგურებული ქვეყნის მომავალი აღორძინებისათვის, სასოფლო მეურნეობის გაჯანსაღებისათვის, და იმ ხარკის გადასახდელათ რომელსაც მისგან მოითხოვენ უცხოელი ვეშაპები. იგი მას უკან აღარ დააბრუნებს, ვინაიდან მაშინ ტყუილუბრალოდ ჩაივლიდა, ის სისხლის მორევი, რომლის საფასურითაც მან გადაარჩინა რევოლიუცია ოქტომბრის რევოლიუცია, რომელმაც გადასცა რუსეთის მშრომელ ხალხის გამგებლობაში ფაბრიკები და მამულები,—იყო პირველი ნაბიჯი საერთაშორისო პროლეტარიატისა, კაპიტალისტური უღლისაგან განთავისუფლების გზაზე. უკუღმა ნაბიჯი აღარ იქნება გადადგმული, რითაც არ უნდა დაგვიჯდეს იგი ჩვენ.

მაგრამ საბჭოთა რუსეთი მზათ არის ერთგვარად აუნაზღაუროს ზარალი უცხოელ კაპიტალისტებს, თუ ისინი ახალი კრედიტების საშვალებით, დაეხმარებიან რუსეთს მისი სახალხო მეურნეობის აღორძინების საქმეში. მან განაცხადა თანხმობა ზოგიერთ ფაბრიკების [illegible] გაცემაზე.

საბჭოთა მთავრობა მზად იყო გაეღო დიდი მსხვერპლი, რომ შეძლებოდა კაპიტალისტურ სახელმწიფოებთან ზავის ჩამოგდება და მიეცა საშვალება რუსეთის მუშებისა და გლეხკაცობისათვის, მძიმე შეიარაღებული ბრძოლის შემდეგ, ამდენ უბედურებათა და შიმშილობის შემდეგ, ბოლოს და ბოლოს ხელი მოეკიდა მშვიდობიანი შრომისათვის.

კაპიტალისტების მტაცებლური გეგმები.

კაპიტალისტურ სახელმწიფოთა წარმომადგენლებმა ყურიც არ აათხოვეს საბჭოთა რუსეთის ყველა ამ წინადადებათ. ისინი მოითხოვენ ჩვენგან ულაპარაკოთა და უპირობოთ ყველა ვალების ცნობას, რომელიც აიღო მეფემ და რუსეთის ბურჟუაზიამ და ვალების დაუყონებლივ გადახდას. ისინი მოითხოვდენ ულაპარაკოთა და უპირობოთ ფაბრიკებისა და მაღაროების დაბრუნებას, მათ წაუპოტინეს ხელები რუსეთის ბუნებრივ სიმდიდრეთ, რომ ამით უზრუნველეყოთ ამ ვალების გადახდა. საბჭოთა რუსეთი რომ ამაზე დათანხმებულიყო, ეს იქნებოდა მომასწავებელი არა მარტო იმისა, რომ რუსეთის მუშები და გლეხები დღესვე გაგვეხადა ანტანტის მონებათ, არამედ იმისიც, რომ შეძლებას მივცემდით მას ეძარცვა რუსეთის სახალხო სიმდიდრე რამოდენიმე თაობის განმავლობაში. ეს იქნებოდა რუსეთის რევოლიუციისათვის, თავისი ცარიელი არსებობის შესანარჩუნებლად მარტო, უარი ეთქვა მის წინ დასახულ მიზანზე და აღარ ყოფილიყო ავანგარდი ინტერნაციონალური პროლეტარიატისა. ეს იმის დამამტკიცებელი იქნებოდა, რომ მართალნი არიან 2 და 2 ნახევარი ინტერნაციონალების დეზერტირები და წაჰქ-უკუჰქოების პოლიტიკის მატარებელნი, რომელნიც ამტკიცებენ იმას, რომ კომუნისტურ პარტიამ და საბჭოთა ხელისუფლებამ დაივიწყეს ლოზუნგები ოქტომბრის რევოლიუციისა და უკვე მზად არის გახდეს იმ ძაღლად, რომელიც სდგას კაპიტალისტური ექსპლოატაციის სადარაჯოზე. ბურჟუაზიის წარმომადგენლები, რომელთაც დაივიწყეს თავისი კლასის რევოლიუციონური წარსული, [illegible] კაპიტული [illegible] ალბად მოელოდენ [illegible] აციას. ალბად მე-2 და 2 ნახევარი ინტერნაციონალების წარმომადგენლები ფიქრობდენ, რომ საბჭოთა მთავრობა რამოდენიმე წლის მძიმე ბრძოლის შემდეგ, დაქანდება ძირს მიწამდის, სანამ არ დავა იმ დონემდე, რომელზედაც თვით ისინი სდგანან და შეეცდება შეარიგოს რუსეთის პროლეტარიატი კაპიტალისტურ ექსპლოატაციას. საბჭოთა ხელისუფლება, რომელიც წარმოიშვა პროლეტარული რევოლიუციის წიაღიდან, საერთაშორისო პროლეტარიატის განმანთავისუფლებელი ბრძოლის ავანგარდი, დარჩა მტკიცე ერთგული პროლეტარული რევოლიუციის მიზნებისა. იგი მხოლოდ ანგარიშს უწევს თქვენი ბრძოლის განვითარების ნელ ტემპსა და გულცივად, აფასებდა რა არსებულ მდგომარეობას, მზად იყო წასულიყო იმ დათმობაზე, რომელიც აუცილებელი იყო პროლეტარიატის დიქტატურის შემდეგშიაც არსებობისათვის. მაგრამ მან უყოყმანოდ უარყო ის წინადადებანი, რომელნიც მისგან მოითხოვდენ ხელისაღებას ოქტომბრის რევოლიუციის მონაპოვარზე. მან უარი სთქვა დაებრუნებია რუსეთის მუშათა კლასი კაპიტალისტურ უღლის ქვეშ. მან უარი სთქვა რუსეთის მუშების მომავალი თაობის მონობაში ჩაგდებაზე. მან არ მოისურვა იმ პოზიციების დაცლა, რომელიც საკუთარი თავის განწირვით, დაიჭირეს რუსეთის მუშებმა და გლეხებმა.

რუსეთის საბჭოთა რესპუბლიკა იბრძვის თქვენთვის, პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, იგერიებს რა ყოველგვარ გალაშქრებას ოქტომბრის რევოლიუციის მონაპოვართა წინააღმდეგ. ყველა ქვეყნების მუშებო და მუშა ქალებო, იგი იცავს არა მარტო რუსეთის პროლეტარების უფლებებს, არამედ თქვენ საკუთარ უფლებებსაც. ინგლისისა და ამერიკის მუშებო, თქვენც იბრძვით, მაღაროების, მადნეულობისა და რკინის გზების ნაციონალიზაციისათვის. იტალიისა და გერმანიის პროლეტარებო! თქვენც იბრძვით მრეწველობის სოციალიზაციისათვის. და თუ კაპიტალისტური სამეფო ასე გაცხარებით მოითხოვს საბჭოთა მთავრობისაგან [illegible], ის ფაბრიკების უკანვე [illegible]

ეროვნული ბიბლიოთეკა

პორტას, რომ კონსტანტინოპოლი დაცული იქნება.

გაზ. „ტაიმსის" ცნობით ბრიტანეთის ჯარების მოძრაობა ევროპიულ ნაპირიდან აზიურ ნაპირისაკენ უკვე დაიწყო.

ბერძნების მოქმედება.

ბორდო. 1 აგვისტო (რადიო). საფრანგეთის პრესა ითვალისწინებს კონსტანტინოპოლზე ბერძნების შეტევისა და კონიის ავტონომიის გამოცხადების სერიოზულ შედეგებს. გაზეთები აღნიშნავენ, რომ ეს ეწინააღმდეგება არა მარტო მოკავშირეთა ამა წლის 26 მარტის გადაწყვეტილებას, არამედ მშვიდობიანობის დამცირების ცდასაც.

გაზ. „პტი პარიზიენის" აზრით აუცილებელ პირობებს მივყევართ იქითკენ, რომ მოკავშირენი გამოიცვლიან თავის კეთილ-განწყობილებას საბერძნეთისადმი. ეს გარემოება საბაბს მისცემს ქემალისტებს შემოუტიონ კონსტანტინოპოლს.

კონსტანტინოპოლიდან მიღებულ დეპეშის თანახმად ქემალისტებმა განაცხადეს, რომ იმ შემთხვევაში, თუ ბერძნები აწარმოებენ კონსტანტინოპოლისაკენ მოძრაობას, მაშინ ისინი შეიჭრებიან ნეიტრალურ ზონაში ისმიდამდე. გაზეთები იმედოვნებენ, რომ საბერძნეთი აიღებს ხელს თავის განზრახვებზე, რომელსაც შეუძლია ცუდი შედეგები მოჰყვეს საბერძნეთის ხალხისათვის.

იტალიის კაბინეტის კრიზისის გამო.

ბორდო. 1 აგვისტო. (რადიო) მეფემ მიიღო ესიტტონი. ფაქტა დღეს აწარმოებდა მოლაპარაკებას პარლამენტის პოლიტიკურ ჯგუფების წარმომადგენლებთან.

— საზოგადოებრივი აზრი და პრესა ბრალს დებენ სოციალისტებს და მათ პოზიციას სთვლიან სოციალისტების კონგრესის მოახლოვების შედეგად, რომელსაც მათ უნდა წარუდგინონ ანგარიშები თავის ყოფაქცევის შესახებ.

ლოიდ-ჯორჯი.

ნაუენი. 1 აგვისტო (რადიო) გაზ. „სიუნდეი ტაიმსის" ცნობით, ლოიდ-ჯორჯი, რომელსაც განზრახული აქვს გაემგზავროს ფერლონგში 10 აგვისტომდე, გაუკეთებს ამ დღეებში სერიოზულ განცხადებას თემთა პალატას, საკონტრიბუციო პრობლემის შესახებ.

ლოიდ ჯორჯის და პუანკარეს შეხვედრა.

ნაუენი. 1 აგვისტო (რადიო) გაზ. „ჩიკაგო ტრიბუნის" ლონდონის კორესპონდენტი ამბობს, რომ ინგლისის ფინანსისტები ფიქრობენ, რომ უმჯობესია ლოიდ-ჯორჯის და პუანკარეს შეხვედრა არ მოხდეს, თუ რომ მოლაპარაკების შედეგი საეჭვოა, რაიდან ახალი მარცხი სრულებით გაართულებს მდგომარეობას.

გაზ. „ფიგაროს„ ცნობით, პუანკარე დაჟინებით მოითხოვს, რომ 15 აგვისტომდე მოხდეს მისი ლოიდ-ჯორჯთან შეხვედრა, როდესაც მას განზრახული აქვს შემოილოს საკონტრიბუციო გადასახადების რეორგანიზაციის ფრანგული გეგმა, რომელიც შედგენილია ლესტერის სქემით გერმანიის ვალების შემცირების შესახებ.

ინგლისის მდგომარეობა.

ნაუენი. 1 აგვისტო (რად.) ინგლისის მუშების ლიდერმა ტომასმა ლეიტონში წარმოსთქვა სიტყვა, რომელშიც მან განაცხადა, რომ მუშახელის მოთხოვნილების შემცირება არის უაზრო პოლიტიკის შედეგი, რომელიც ბოლოს და ბოლოს მიიყვანს ინგლისს აუწერელ გაღატაკებამდე, თუ რომ გერმანიაც არ მიიღებს ისეთივე შესაძლებლობას, როგორიც მიიღეს სხვა სახელმწიფოებმა. გერმანიის მდგომარეობა მეტად სერიოზულია. თუ რომ კომუნისტები ან მონარქისტები მოექცევიან სათავეში ცივილიზაცია და დემოკრატია იგემებს ამის შედეგებს.

დღევანდელი არეულობა მოხდა იმის გამო, რომ მოკავშირეები მისდევენ საფრანგეთის უნდობლობის პოლიტიკას, რომელიც უარყოფილ უნდა იქნეს, არა იმიტომ რომ მას მივყევართ ომისაკენ, არამედ იმიტომაც, რომ სხვა გზა არ არის, ინგლისის უმუშევრობისაგან თავის დასახწევად.

გაფიცვები ამერიკაში.

ნაუენი. 1 აგვისტო (რადიო). ტრედ-იუნიონების ჯარმა პრეზიდენტ გარდინგის შუამავლობაზე დიდი გაოცება გამოიწვია. რკინისგზელთა გაფიცვების მდგომარეობა რთულდება.

ნახშირი.

ნაუენი. 1 აგვისტო (რადიო). ინგლისში ნახშირის ყასმა მაიმატა, შეერთებულ შტატების მიერ ინგლისიდან ნახშირის გატანის გამო.

კონსტანტინოპოლში.

კროიდონი. 1 აგვისტო (რადიო). მოკავშირე სახელმწიფოებმა (საკავშირო ძალების სარდლის გარიონგტონის საშუალებით მიიღეს სასწრაფო და ენერგიული ზომები ბერძნების ავანტიურის წინააღმდეგ. გარინგტონმა გამოუშვა მოწოდება, რომელშიაც ის ამბობს, რომ იმ ტერიტორიას, რომელიც შედის საოკუპაციო რაიონში, დაიცავს საკავშირო ჯარები და რომ მოკავშირეები მზად არიან იარაღით ჩააქრონ ყოველივე ცდა არეულობის მოსახდენად, რაც ეწინააღმდეგება მოკავშირე სახელმწიფოების ნებისყოფას.

ინგლისი და კონსტანტინოპოლი.

კროიდონი. 1 აგვისტო (რადიო). ინგლისის მთავრობამ აგრძნობინა ათინას, რომ საზღვრებთან მსხვილი რაზმების კონცენტრაციის ფაქტი წარმოადგენს საფრთხეს. საბერძნეთის გარეშე საქმეთა მინისტრმა მელტაციმ განაცხადა, რომ საბერძნეთის არმიას მიეცა უსასტიკესი გაფრთხილება, რათა თავიდან იქნეს აშორებული ყოველგვარი ინცინდენტი.

იტალიის კაბინეტის კრიზისის გამო.

ლიონი. 2 აგვისტო (რადიო) იტალიის კაბინეტის კრიზისი ჯერ კიდევ არ არის დამთავრებული. მეფემ ორშაბათს მიიღო ფაქტა, რომელსაც ჯერ კიდევ პასუხი არ მიუცია.

რომი. 1 აგვისტო (რადიო) დეპუტატი ტურრატი მიიღო მეფემ შაბათს, ტურრატიმ გააცნო მეფეს სოციალისტური ჯგუფის თვალსაზრისი სამინისტრო კრიზისის გამო. მან აღნიშნა, რომ არ არის სასურველი ახალ კაბინეტში შეყვანილ იქნან უკიდურესი მემარჯვენე და მემარცხენე პარტიების წარმომადგენელნი.

სოციალისტების შეურიგებელ პოზიციის გამო, ორლანდომ ხელმეორედ განაცხადა უარი კაბინეტის შედგენის წინადადებაზე. მეფის მიერ ფაქტას გამოძახების გამო ლაპარაკობენ სათავეში ძველი სამინისტროს დატოვების შესაძლებლობის შესახებ.

პოლონეთის კაბინეტი.

მოსკოვი. 1 აგვისტო (რადიო) 30 ივლისს ვარშავაში გაიმართა მემარჯვენე პარტიების დემონსტრაცია პილსუდსკის წინააღმდეგ. კორფანტის სასარგებლოდ ზოგიერთ ადგილებში მოხდა შეტაკება. დემონსტრანტებმა გამოიტანეს რეზოლიუცია, რომელიც მოუწოდებს სეიმს თავის უფლებისთვის ბრძოლისაკენ. დემონსტრანტები დაჟინებით მოითხოვდენ, რომ სეიმმა მოსთხოვოს პილსუდსკის საკონსტიტუციო ვალდებულებათა აღსრულება. გაზ. „გაზეტა ვარშავსკა" აღნიშნავს, რომ მდგომარეობა მეტად რთული რჩება. საკითხი კორფანტის კაბინეტის შესახებ ჯერ კიდევ არ არის გადაწყვეტილი.

ბორდო. 1 აგვისტო (რადიო). ვარშავაში შესდგა კაბინეტი ნოვაკის თავმჯდომარეობით. გარეშე საქმეთა მინისტრად დანიშნულია ნარუტოვსკი, სამხედრო მინისტრად სოსნოვსკი და შინაგან საქმეთა მინისტრად კამიენსკი.

ნავთი პოლონეთში.

ნაუენი. 1 აგვისტო (რადიო). პილსუდსკი აწარმოებს მოლაპარაკებას ამერიკელ ფრანგულ კამპანიასთან პოლონეთის ნავთის რაიონების ექსპლოატაციის შესახებ.

ერთა ლიგაში.

ბორდო. 1 აგვისტო (რადიო). ერთა ლიგის სამანდატო კომისიას, რომელიც იკრიბება 1 აგვისტოს ჟენევაში, პირველად შესაძლებლობა ექნება განიხილოს საკითხი მანდატების ქვეშ მყოფ ტერიტორიების ადმინისტრატიული წესრიგის შესახებ.

ერთა ლიგის საბჭოს შემდეგი სხდომა დანიშნულია 30 აგვისტოსათვის, 4 დღით წინ პლენარულ სხდომამდე. მთავარი საკითხია—მანდატი პალესტინასა და სირიაზე.

პაციფისტური დემონსტრაციები.

ბორდო. 1 აგვისტო (რადიო). ომის წლისთავის დღეს ლონდონში 5 დიდი პროცესია გაიმართა გაიდ-პარკისაკენ, ქალაქის გზით. გაიდ-პარკში გამოტანილ იქნა რეზოლიუციები, რომლებშიდაც პროტესტს გამოსთქვამდენ ომის ყოველგვარ შესაძლებლობის წინააღმდეგ და მოუწოდებდნენ ევროპასა და ამერიკას ერთობისაკენ მშვიდობიანობის აღდგენის საქმეში.

მუსტაფა ქემალი ფრონტზე.

რომი. 1 აგვისტო (რადიო). მუსტაფა-ქემალ-ფაშა ანგორიდან გაემგზავრა ფრონტზე.

კონფერენცია ლონდონში.

რომი. 1 აგვისტო (რადიო). ნიტტიმ მიმართა ლონდონის საერთაშორისო კონფერენციას წერილით, რომელშიდაც უსურვებს მას ნაყოფიერ მუშაობას.

— კონფერენციამ მოიწონა დადგენილება სრულ საერთო განიარაღების შესახებ. საკითხი სავალდებულო სამხედრო სამსახურის გაუქმების შესახებ განზრახულია გადაეცეს ერთა ლიგას.

პუანკარეს სიტყვა.

რომი. 1 აგვისტო (რადიო). არგონოში დაღუპულ მეომართა ძეგლის გახსნის დროს, პუანკარემ წარმოსთქვა სიტყვა, რომელშიდაც განაცხადა, რომ გერმანიამ უნდა გამოასწოროს მის მიერ ჩადენილი ბოროტება. თუ რომ წინააღმდეგ წავა ის უნდა ვაიძულოთ ამისათვის.

ბერლინის ბირჟაზე.

რომი. 1 აგვისტო (რადიო). პოლიტიკური მდგომარეობის გამოურკვევლობის გამო ბერლინის ბირჟაზე პანიკა მეფობს. შაბათს ოდლარი ღირდა 650 მარკა.

წვიმები ჩინეთში.

რომი. 1 აგვისტო (რადიო). ძლიერმა ნიაღვარმა ჩრთილოეთ ჩინეთში წალეკა მინდვრები პეკინში, წვიმების გამო დაინგრა 1500 სახლი.

პუანკარეს ინგლისში გამგზავრების გამო.

კროიდონი. 2 აგვისტო (რადიო). საფრანგეთის მთავრობამ 1 აგვისტოთი განსაზღვრა პუანკარეს ლონდონში ჩავლა, რის გამოც ვალფურმა განაცხადა, რომ ბრიტანეთის მთავრობა მოხარული იქნება ამ დღეს მიიღოს საფრანგეთის პრემიერი, ხოლო ძალიან სასურველია ამ დღესვე ლონდონში ყოფნა. იტალიის და ისპანიის პრემიერებისა, და ამიტომ უფრო მიზანშეწონილი იქნებოდა პუანკარეს ლონდონში ჩასვლა მომხდარიყო სწორედ იმ დღეს, როდესაც გათავდება იტალიის კაბინეტის კრიზისი.

ირლანდიაში.

კროიდონი. 1 აგვისტო (რადიო). სამხრეთ ირლანდიაში ბრძოლა გრძელდება. სოფ. ბრიური, რომელიც მდებარეობს კილმალუკიდან 5 მილის მამძილზე, დღეს ღამით დაიკავეს მთავრობის ჯარებმა. დილით ლაპარაკობდენ აგრეთვე კილმალლუკის დაკავების შესახებ.

დე-ვალერი წინანდებურად იმყოფება ირლანდიაში და ჯერ არ გამგზავრებულა ამერიკაში. ის მეთაურობს აჯანყებულებს და ჰკარგავს პოზიციებს ერთი მეორეზე.

რომი. 1 აგვისტო (რადიო). აჯანყებულებმა დაიკავეს ირლანდიაში ქალაქი ტიპპერელი.

იტალიაში

ბორდო. 1 აგვისტო (რადიო). შრომის კავშირის ცენტრალურმა კომიტეტმა რიგაში ერთი ხმის უმრავლესობით დაადგინა გამოაცხადოს გაფიცვა. გენუაში გაფიცვა უკვე დაიწყო. მთავრობამ მიიღო სასწრაფო ზომები, რათა აკრძალულ იქნეს ყოველგვარი კრებების გამართვა. გაზ. „ავანტში" გამოქვეყნებულია მშრომელთა კავშირის პროკლამაცია, რომელიც აცხადებს საერთო გაფიცვას 31 ივლისის შუაღამიდან.

გაზ. „მონდოში" გამოქვეყნებულია ფაშისტების პროკლამაცია, რომელიც წინადადებას იძლევა განაგრძონ მუშაობა და დააცალონ მთავრობას 48 სათი თავის ავტორიტეტის გამოსაჩენათ, რის შემდეგ ფაშისტები მოითხოვენ მოქმედების სრულს თავისუფლებას.

რომი. 1 აგვისტო (რადიო) ფაშისტებსა და რესპუბლიკანელებს შორის მომხდარ შეთანხმების გამო და მთავრობის მიერ ზომების მიღების შემდეგ, მდგომარეობა იტალიაში გაუმჯობესდა. ყველგან განაახლეს მუშაობა.

სპარსეთში

ბორდო. 1 აგვისტო (რადიო) თეგერანში მეჯლისმა მისცა ხმა კრედიტის გახსნას, საფრანგეთის მიწად მოქმედების სასწავლებელში 150 სპარსელ-მოწაფის გასაგზავნად.

სასურ.

სახალხო სასურსა
მიერ მიღებულ დამა
მიხედვით სასურსათო
კამპანია მთელს რესპუ
თოდ კარგათ მიმდინა
ზოგიერთი ადგილი, სადა
ხადო მუშაობა მოისუსტე
სასურსათო კომისარიატის
ღებულია სათანადო ზომები
ბის გასაცხოველებლად. ყველა
ადგილას კომისარიატი დამა
ინსტრუქციებს და დირექტივებს
ლევს და ამას გარდა გამოცდილ
ვიზორ-ინსტრუქტორებს უგზავნი

კომისარიატის ინსტრუქტორ-რევიზორები, რომელნიც აღმოსავლეთ საქართველოს მაზრებში იყვნენ დაგზავნილნი, ნელნელა ბრუნდებიან ტფილისში. ისინი ხელახლა იგზავნებიან მეორე მაზრებში, რაც მათი პირადი ხელმძღვანელობაა საჭირო.

სიღნაღის მაზრა უკვე მოიარა სახალხო სასურსათო კომისარიატის რევიზორ-ინსტრუქტორმა ამხ. ნეგრებეცკიმ, რომლის მოხსენებაც შემდეგის სახით გვიხატავს სასურსათო გადასახადის კამპანიის მსვლელობას სიღნაღის მაზრაში. მუშაობა საერთოდ სწრაფად სწარმოებს. გადასახადის შესაგროვებლად სიღნაღის მაზრა ხუთ რაიონად არის გაყოფილი. ეს რაიონებიც: ქოდალოსი, შირაქისა, მაჩხაანისა, გურჯაანისა და ალაზნის გაღმა მხარე. პირადად ინსტრუქტორმა ამხ. ნეგრებეცკიმ ქოდალოს რაიონი მოიარა. ამ რაიონში 5 თემი შედის: კაჭრეტისა, არაშენდასი. კანდაურისა, კაკაბეთისა და იორმუღანლოსი. კაკაბეთის თემში მთელი წინასწარი მუშაობა დასრულებულია. მეურნეობებზე გადასახადის გაწევა ივლისის 28 თვის იყო დანიშნული. კანდაურის თემში სოფლებზე გადასახადის გაწერა დასრულებულია კარგა ხანია. მეურნეობებზე გაწერა ახლა დასრულდა. თანახმად ინსტრუქტორის მოთხოვნისა მეურნეობებზე გადასახადის გაწერა მოსახლეობის წარმომადგენელთა თანადასწრებით სწარმოებს. კარეთში ივლისის 27-სთვის იყო დანიშნული გადასახადის [illegible] ი ხორ- [illegible] ავინთ სასარ- [illegible] ლძა სიები მათ უკან [illegible] და საგანგებო მიწერილობისა განუმარტა ასეთის საქციელის უკანონობა, რომელსაც მომავალში ადგილი აღარ უნდა ჰქონდეს.

სიმინდის მოსავალს მთელს მაზრაში საუკეთესო პირი უჩანს.

ბორჩალოს მაზრა. (დეპეშით მოსული უკანასკნელი ცნობა). ზოგიერთს საზოგაოოებაში შინაგანი გაწერა ბრკოლდება მოსახლეობის გახიზვნის გამო. გადასახადის შეგროვებას დავიწყებთ არა ადრე სექტემბრის 1-სა.

თელავის მაზრა. (დეპეშა). სიები საბოლოდ შედგენილია და დამტკიცებულია სამაზრო სამეულის მიერ. უკვე დაგზავნილია თემების აღმასკომებისთვის. გადასახადის შეგროვება დაწყებულია. საჭიროა ტომრები.

ახალქალაქი. (დეპეშა) საბოლოო სიებს უკვე იღებს სამაზრო სამეული. მაზრის ერთს ნაწილში შეგროვება დაიწყება აგვისტოს 15-ს, ხოლო მეორე ნაწილში—სექტემბრის 1-ს.

თიანეთის მაზრა. (დეპეშა). გადასახადის შინაგანი გაწერა დასრულდა. მაზრის დაბლობ ნაწილში გადასახადის შეგროვება აგვისტოს 2-ს დაიწყება, თემში გადასახადის ნარჩენის აკრებამ საუცხოვოდ ჩაიარა. შემოვიდა ხორცი და ერბო.

ტფილისის მაზრა. გადასახადის საბოლოო გაწერა დასრულდა. შეგროვება დაიწყო.

მით იცავს არა მარტო თავის ინტერესებს რუსეთში, არამედ იგი იცავს პრინციპს, სურს რა დაგიმტკიცოთ თქვენ, ყველა ქვეყნის პროლეტარებო, რომ კაპიტალიზმის ბრძანებლობა შეუზღუდველია და ვაი იმას ვინც ოიწადინებს მისი საფუძვლის შერყევას—კაპიტალისტური პრინციპის კერძო საკუთრებისას, და მისთვის სოციალიზმის პრინციპის დაპირისპირებას. თუ კაპიტალისტები აგრე დაჟინებით უარყოფენ საბჭოთა რუსეთისათვის კრედიტების მიცემას, ეს ხდება სწორედ იმ შიშის გამო, რომ რუსეთის სახელმწიფოს მრეწველობის განვითარება, საბოლოოდ გააქარწყლებს ყველა მათ რწმუნებას სოციალიზმის შეუძლებლობის შესახებ. საბჭოთა ხელისუფლების ბრძოლა კაპიტალისტების მოთხოვნილებათა წინააღმდეგ, არის ბრძოლა არა მარტო რუსეთის რევოლიუციის მომავალი განვითარებისათვის, არამედ იგია ბრძოლა ევროპის სოციალიზმის და თქვენი ბრძოლის განვითარებისათვის, პროლეტარებო ყველა ქვეყნისა. და თუ ამ ბრძოლაში უნდა გაიმარჯვოს საბჭოთა ხელისუფლებამ, მაშინ თქვენ, დღეს დევ კაპიტალისტური სახელმწიფოს პროლეტარებო, როდესაც იძულებული გახდებით აჯანყდეთ, სოციალიზმისთვის ბრძოლაში, პოვებთ დახმარებას ძლიერ სახელმწიფოში, რომელსაც ხელმძღვანელობს პროლეტარიატი და რომელიც მთელ თავის კოლოსალურ ეკონომიურ ძალღონეს დახმარს საერთაშორისო პროლეტარული რევოლიუციის საქმის სამსახურს. რუსეთის სასოფლო მეურნეობის, პროლეტარიატის ხელისუფლების ქვეშ აღორძინება, გიხსნისთ თქვენ პროლეტარებო გერმანიისა, იტალიისა, და ინგლისისა, ამერიკული კაპიტალის ბლოკადისაგან, რომლის ატანაც უფრო ძნელი იქნება, ვინემ ევროპიული კაპიტალისა.

ერთაშორისო პროლეტარიატის მოვალეობა.

აი რატომ იყო ღალატი ჩვენი სასიცოცხლო ინტერესებისა ის გარემოება, როდესაც 2 და 2 ნახ. ინტერნაციონალებმა ხელი შეუშალეს საერთაშორისო მუშათა კონგრესის მოწვევას გენუისა და ჰააგის მოლაპარაკების მსვლელობის პერიოდში; აი რატომ იყო იუდისებური მოქმედება, როდესაც 2 და 2 ნახ. ინტერნაციონალების პრესა სცდილობდა დაემტკიცებია თქვენთვის, რომ საბჭოთა მთავრობამ კაპიტულიაცია მოახდინა ბურჟუაზიის წინაშე, რომ იგი აწარმოებს კაპიტალისტურ პოლიტიკას და რომ აწი არ არის თქვენი მოვალეობა მათი მიმხრობა და დაცვა. მთელი ქვეყნის მუშებო და მუშა ქალებო, სირცხვილის სიწითლით უნდა შეიღებოს თქვენი პირისახე იმ აზრის თავში გავლების დროს, თუ როგორ მოახერხა თქვენი მოტყუილება სოციალ-დემოკრატიული პარტიების და პროფკავშირების ხელმძღვანელებმა, რომ თქვენ არ გაუწოდეთ ხელი რუსეთის თანამოძმეებს მათ მძიმე ბრძოლაში არა მარტო რუსეთის პროლეტარიატის ინტერესებისათვის, არამედ საერთოდ რუსეთის მუშათა კლასის ინტერესებისათვის. შერცხვენა და დაუნდობელი ბრძოლა მათ, ვინც თქვენ ასე უსირცხვილოთ მოგატყუათ! აქტიური დახმარება, პროლეტარული მასების დახმარება, მიუხედავათ მათი პარტიული რწმენისა,—მებრძოლ საბჭოთა რესპუბლიკას!

მისი ბრძოლა მომავალშიც მძიმე და ძნელი იქნება. მართალია, მომავალი კარგი მოსავალი უადვილებს მას მიზანს, საკუთარი ძალ ღონით შეუწყოს ხელი პროლეტარიატისა და გლეხობის მდგომარეობის შემსუბუქებას, მაგრამ არას დროს არ დაივიწყოთ ის, თუ რა საოცარია ის უბედურებანი, რომელსაც რუსეთი განიცდის და რამდენათ უმნიშვნელოა ის დახმარება, რომელსაც თქვენ მას დროგამოშვებით უწევთ. მაღალი ვალიუტის ყველა ქვეყნის პროლეტარების მოვალეობაა, ყოველი ღონე იხმარონ რუსეთის თანამოძმეთათვის დახმარების აღმოსაჩენათ. წაბაძეთ ამერიკელ მკერვალთა კავშირის მაგალითს, რომელმაც რუსეთის საბჭოთა მთავრობასთან ერთად დაარსა ორგანიზაცია, რომელსაც დაკისრებული აქვს ხელი შეუწყოს და დაეხმაროს რუსეთის შეკერილ ტანისამოსის წარმოების განვითარებას და რომელმაც ამ მიზნისათვის შეკრიბა პროფკავშირთა წევრებს შორის მილიონი დოლარი. მაგრამ საქმე ეხება არა მარტო ეკონომიურ დახმარებას. ჰააგის მოლაპარაკებათა ჩაშლის შემდეგ საფრანგეთის იმპერიალიზმი გააკეთებს რაც კი შეუძლია თავის ვასალების სამობილიზაციოდ საბჭოთა რუსეთის წინააღმდეგ, თვით რუსეთში შეთქმულობათა მოსაწყობად იმ ესერების დახმარებით, რომელსაც იცავდენ 2 და 2 ნახ. ინტერნაციონალები. რუსეთში კონტრ-რევოლიუციონური შეთქმულობანი და ანტანტის ვასალების სამხედრო ავანტიურები, კვლავ წამოყოფენ თავს და თქვენი უწმინდესი მოვალეობაა, ყველა ქვეყნის მუშებო და მუშა-ქალებო, დასდოთ სასწორზე მთელი თქვენი გავლენა, მოითხოვთ რა რუსეთთან დაუყონებლივ საერთო ზავის ჩამოგდებას, ზავისას, ძარცვა-მტაცებლობის გარეშე, ისეთი ზავისა, რომელიც არ დაადებს უღელს რუსეთის ხალხს, არ წაუჭერს მას ყელში ბაწარს, არამედ აღმოუჩენს მას მატერიალურ დახმარებას.

შეაკავშირეთ ერთიანი ფრონტი პროლეტარიატისა, საბჭოთა რუსეთის დაცვით და თქვენ ამით გაუწევთ სამსახურს არა მარტო რუსეთის პროლეტარიატს და რუსეთის რევოლიუციას, არამედ თქვენ საკუთარ საქმესაც, განმანთავისუფლებელი ბრძოლის საქმეს.

გაუმარჯოს საბჭოთა რუსეთს, ძირს კაპიტალისტური ყაჩაღები.

გაუმარჯოს პროლეტარიატის ერთიან ფრონტს, მსოფლიო რევოლიუციის მიერ უკვე დაპყრობილ პოზიციების დასაცავად და ახალი პოზიციების ხელში ჩასაგდებათ.

კომინტერნის აღმასკომი.

ქ. მოსკოვი 22 ივლისი 1922 წ.

ამიერ-კავკასიის ფედერაციაში

საქართველო

წაღვერი.

საკურორტო ცხოვრება.

ამ წელს კურორტის სეზონი შარშანდელზე უფრო გამოცოცხლებულია. 1 აგვისტომდე მოაგარაკენი შარშანდელთან შედარებით ორჯერ მეტი ირიცხებოდა: წარსული წლის ზაფხულის განმავლობაში სულ აღწერილი იყო 400 ოჯახი, ეხლა კი უკვე 732 ირიცხება და მოაგარაკენი კიდევ ემატებიან. ავადმყოფთა რიცხვი ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატის ორ სანატორიებში 33 პროცენტით აღემატება შარშანდელს. წელს საზაფხულოდ მოვიდნენ აგრეთვე თბილისის ორი საბავშო კოლონია—85 ბავშვებით და რკინის გზელთა დასასვენებელ სახლიდან—30 კაცი.

თესვის კამპანია.

წაღვერის რაიონში თესვის კამპანია კარგად ჩატარდა. მცხოვრებლებს დაურიგდა 1000 ფუთამდე სათესი მარცვალი. სათესი მინდვრები ორჯერ მეტია შარშანდელთან შედარებით, სახელდობრ 500 დღს. ამ ჟამად ბაზარზე ხორბალი 30 პროცენტით ნაკლებ ფასობს შარშანდელთან შედარებით. სათესი მინდვრების ერთი მესამედი უჭირავს სიმინდს, დანარჩენი კი ხორბალს,

აზერბეიჯანი

სასურსათო გადასახადის აკრეფა

25 ივლისისათვის სასურსათო სახალხო კომისარიატში შემოვიდა შემდეგი ცნობები. შამხორის მაზრაში რაიონები დანაწილებულია დამმზადებელ კანტორების შორის. სად. დალიარის კანტორას ეკუთვნის შამხორის, ქედაბეკის და სლავიანსკის უბანი, სად. ძეგამის კანტორას—ძეგამის უბანი. განუწყვეტელი წვიმები 3 დღის განმავლობაში ხელს უშლიან პურის გალეწვას, მაგრამ მიუხედავად ამისა სასურსათო გადასახადი მაინც შემოდის. კუმატლინის მაზრაში გატარებულია რეგისტრაციაში საქონელი, რომელზედაც სასურსათო გადასახადი ვრცელდება: 336 სული მსხვილ ფეხა, 4468 წვრილ ფეხა საქონელი და 15 ღორი. მაზრის მწყემსთა იალაღზე გადასვლის გამო, გადასახადის აკრება არ შეიძლება მოხდეს 15 აგვისტომდი. [illegible] ჯივანშირის მაზრაში 2 [illegible] სილლობ ადგილებში დაიწყო სასურსათო გადასახადის აკრება, მცხოვრებთა 90 პროც. ჯერ კიდევ იალაღზე იმყოფება. შემახის მაზრაში პურის მკა გრძელდება. დაბლობ ადგილებში, წვიმები უშლიან ხელს პურის მომკას და გალეწვას. გადასახადის აკრეფა დაიწყება აგვისტოდან. აგდანის მაზრაში პური მომკილია, მაგრამ გალეწილი ყველგან არ არის მაგალითად ქალაქის რაიონის ზოგიერთ სოფლებში პური გაილეწება არა უადრეს აგვისტოს თვისა. სასურსათო გადასახადი მაინც შემოდის ორი დღის განმავლობაში შემოვიდა 656 ფ. ხორბალი, 1.104 ფ. თივა. კუბინის მაზრაში 25 ივლისამდე შემოვიდა სასურსათო გადასახადი 140 ფ. ხორბალი და 161 ფ. ქერი. სასურსათო გადასახადის აკრეფას ხელს უშლის ძლიერი წვიმები.

ნავთის ფრონტზე. 25 ივლისს გატანილია ბაქოდან ასტრახანში შავი ნავთის პროდუქტები 186011 ფუთი ნათელი პროდუქტები—75675 ფუთი. პეტროვსკიდან ასტრახანში გატანილია პარაფინიანი ნავთი 107479 ბაქოდან კრასნოვოდსკში—შავი პროდუქტები—186011 ფუთი.

სახალხო განათლების განყოფილებაში.

ტაუზში არსებობს სახალხო განათლების განყოფილება, რომლის გამგებლობაშიაც არის 20 სკოლა 900 ბავშვით. (800 ვაჟი და 90 ქალი) ამ შკოლების რიცხვში შედის 1 რუსების, 4 გერმანელების შკოლა, ქალებიდან 60 მუსლიმანია, 30 გერმანელი და 10 რუსი.

ნაკლულევანებაა მასწავლებლებისა, განსაკუთრებით ქალი-მასწავლებლებისა. სრული უქონლობა რუსულ სახელმძღვანელოებისა. პოლიტიკურ-განათლების განყოფილებამ მოაწყო წერა-კითხვის უცოდინარობის სალიკვიდაციო კურსები. ასეთივე კურსები არსებობს სპეციალურად მუსლიმან ქალებისათვის, მაგრამ მათ სათანადო შედეგებს ვერ მიაღწიეს. რადგან არ იყო მასწავლებელი მუსლიმანი ქალები პოლიტიკურ განათლების გამგებლობაში იმყოფება ბიბლიოთეკა-სამკითხველო თათრულ, რუსულ და გერმანულ ენებზე. სულ დაახლოვებით 2000 წიგნია, უმთავრესად რუსული წიგნებია. გაიხსნა მუშათა და გლეხთა კლუბი, სადაც ყოველ კვირაში იმართებოდა წარმოდგენები რუსულ და თათრულ ენაზე. არ არის სახელოსნო სასწავლებელი, რომელიც ტაუზში ფრიად საჭიროა. [illegible] გოლდა გერმანული შკოლებისა, სასკოლო განათლების საქმე ძალიან სუსტად არის დაყენებული.

ბაქოს ბაზრობა. სამაზრო კომიტეტმა მიმართა ზღვით მიმოსვლის კასპიის ოლქის სამმართველოს შუამდგომლობით, 15 პროცენტიან შეღავათის დაწესების შესახებ იმ ტვირთებზე, რომელიც იგზავნება კომიტეტის სახელზე, დაწესებულებათა, კოოპერატივთა და კერძო პირთა მიერ და აგრეთვე იმ საქონელზე, რომელიც მიდის ბაზრობიდან, როგორც ეს დააწესა ოლქის სამმართველომ ნიჟეგოროდის ბაზრობისათვის.

ორკვირეულ მაშტაბში. კალამაშრაიკომის მიერ გამოცხადებული დამშეულთა დამხმარე ორკვირეული სოფ. მაშტაგში განსაკუთრებული წარმატებით ჩატარდა. წარმოდგენის საყურებლად შესასვლელ ბილეთში გლეხები ხშირად იხდიდენ 15—25 მილ მან. მიტინგზე შეიკრიბა 1.000 ფ. მარილი, 120 არშ. მანუფაქტურა, 25 წყვილი სანდალი, 111 ფუთი ქერი, 19 ფუთი ხორბალი და 233.300.000 მანეთი ფულად. წარმოდგენიდან შემოვიდა 1.200.000.000 მანეთი.

ქრონიკა

◆ **პირველიდან 5 აგვისტომდე ხუდადოვის ტყის და კუკიის სასაფლაოს რაიონში იქნება თოფის სროლა და ფრქვევა ხამარ გრანატებისა. ქალაქის კომენდანტის მაგიერ გეგელაშვილი**

საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოებაში.

კამათი „ვეფხის ტყაოსნის" შესახებ. პარასკევს, 4 აგვისტოს, საღამოს 8 საათზე, ხელოვანთა სასახლეში (სერგიევის ქ. № 8), მოხდება „საქართვ. საისტორ. და საეთნოგრ. საზოგადოების" კრება, რომელზედაც ლ. მელიქსეთ-ბეგი წაიკითხავს მოხსენებას „ნინოწმინდის" ტაძრის შესახებ, რის შემდეგაც გაიმართება კამათი ს. გორგაძის მოხსენების გამო: „ორიგინალობის საკითხი რუსთველის შემოქმედებაში". ამ მოხსენების მოკლე შინაარსი და თეზისები დაბეჭდილი იყო „ტრიბუნის" № 258-ში და „ბახტრიონის" უკანასკნელ ნომერში.—კრებაზე დასწრება არა წევრთაც შეუძლიათ.

პარტიული ცხოვრება

საქართველოს კომ.-პარტიის ცეკას მუშაობის ანგარიში

(მაისში და ივნისში)

(გაგრძელება იხ. „კომუნისტი" № 173, 174, 175).

მუშაობა საბჭოთააღმშენებლობის სფეროში.

პარტკომები და აღმასკომები შეთანხმებულ მუშაობას აწარმოებენ, მაგრამ მაინც იყო ზოგიერთი შემთხვევები ამ შეთანხმებულ მუშაობის დარღვევისა. იყო შემთხვევები როდესაც პარტკომებს უშუალოდ უხდებოდათ ხელმძღვანელობა გაეწიათ საბჭოთა მუშაობისთვის. აღმასკომის ან მისი ორგანოების სისუსტის გამო განსაკუთრებით პარტკომებს უხდებოდათ ჩარეულიყვნენ მიწათმოქმედების განყოფილების საქმეებში, რადგანაც სერიოზული იყვნენ ის საკითხები, რომელთაც იქ იხილავდენ.

იყო ისეთი შემთხვევებიც, როდესაც აღმასკომის თავმჯდომარე თავისნებით ხელმძღვანელობდა პარტიულ მომუშავეების მოქმედებას, ხსნიდა მათ თავიანთ თანამდებობიდან და გადაყავდა ისინი საბჭოთა მუშაობაზე, პარტკომის სანქციის გარეშე. ასეთ არა ნორმალური ფაქტების სალიკვიდაციოთ ცეკამ დააგზავნა სპეციალური ცირკულიარი პარტკომებისა და აღმასკომების ურთიერთობათა შესახებ.

სამაზრო კომიტეტებსა და აღმასკომებს შორის შემდეგი კავშირი არსებობს: აღმასკომებთან არსებობს კომფრაქცია, რომლის საშუალებითაც სამაზრო კომიტეტი აწარმოებს თავის გავლენას აღმასკომზე.

აღმასკომის ფრაქციის მდივნები და აღმასკომების თავმჯდომარენი შედიან სამაზრო კომიტეტებში.

მაისში აღდგენილ იქნა სვანეთის რევკომი, რომლის თავმჯდომარეთაც დანიშნულია ძველი გამოცდილი ამხ. თენგიზ ქელენტი. რადგანაც ეს მხარე ძალიან დაშორებულია ცენტრზე, ამიტომ ინფორმაციის საქმეც სუსტად არის დაყენებული. მოხდა თბილისის ქალაქის საბჭოს ახალი არჩევნები, რომლის 96 პროც. კომუნისტები შეადგენენ.

ყველაზე უფრო ჩამორჩენილად საბჭოთა მუშაობის ინტენსივობის მხრივ, ითვლებიან შემდეგი მაზრები: თიანეთის, დუშეთის, ახალქალაქის, ბორჩალოს, ლეჩხუმის და ნაწილობრივ შორაპნის.

ამის მიზეზი უმთავრესათ არის მომზადებულ და ავტორიტეტულ მუშაკების ნაკლებობა.

სისხლის სამართლის ბანდიტიზმთან ბრძოლა სათანადო წარმატებით მიმდინარეობს.

მიმდინარე საანგარიშო პერიოდში მოსპობილ იქნენ ძლიერი ბანდიტური ორგანიზაციები გორისა და დუშეთის მაზრებში და ავტონომიურ სამხრეთ ოსეთში.

ბანდიტიზმის საბოლოო ლიკვიდაციისათვის, ადგილობრივ პირობების მიხედვით, მიმართავენ ამნისტიის მეთოდს.

კოოპერაციის ხელში ჩაგდების სფეროში დასახულია კონკრეტული გეგმა მისი თანდათანობითი დაპყრობისა იმ პირობით, რომ ამ პროცესმა დამღუპველი გავლენა არ მოახდინოს კოოპერაციის არსებულ აპარატზე.

გადაწყვეტილ იქნა კოოპერატიული კურსების მოწყობა 30 კაცისათვის და 24 ივნისიდან მეცადინეობის დაწყება, ცეკამ უკვე დაუგზავნა ცირკულიარი მაზრებს თითო ორგანიზაციიდან ერთ ერთი ამხანაგის კურსებზე გამოგზავნის შესახებ.

ადგილობრივ ორგანიზაციებს ძალიან კარგათ ესმისთ კოოპერაციის დაპყრობის აუცილებლობა. ჯერჯერობით შევძელით გამოგვეგლიჯა მენშევიკებიდან შემდეგი რაიონები:

[illegible] ის და [illegible] ნელ-ნელა, [illegible] ნარეობს ისე, [illegible] ახლო მომავალ[illegible] იქნებიან ამ უკა[illegible] თავის საფარისაგანაც.

რაც შეეხება კოოპერატივებს, ისინი სავსებით ჩვენ ხელში არიან. ცეკასთან არსებულ კოოპერატიულ კომისიამ უკვე შეიმუშავა გეგმა ერთი უმაღლეს ორგანოს შექმნის შესახებ, რომელმაც უნდა გაუწიოს ხელმძღვანელობა, როგორც მუშათა, აგრეთვე სამოქალაქო კოოპერაციასაც.

ცეკას ინიციატივით წარსული წლიდან დაიწყო მუშაობა ზოგიერთი სარწყავი არხების გასაყვანად. დიდი ნაწილი მუშაობისა დამთავრებულ იქნა მაისსა და ივნისში.

ამ მუშაობაში ყველაზე უფრო ცხოველ და აქტიურ მონაწილეობას იღებენ ადგილობრივი პარტიული ორგანიზაციები „შაბათობისა“ და „კვირაობის“ მოწყობით, გაძლიერებული აგიტაციის წარმოებით და ფართო უპარტიო მასების წაქეზებით.

გაყვანილ იქნა შემდეგი არხები:

1) მათხოჯის სარწყავი არხი ხონის რაიონში. არხის სათავე არის მდინარე ცხენის წყალში და მისი სიგრძე უდრის 11 ვერს. მას შეუძლია მორწყას 2000 დესიატინა მიწა.

2) გორის მაზრაში გაიხსნა სკრა—ქარელის სარწყავი არხი, რომლის სათავეც არის მდინ. მტკვარი, სოფ. ახალსოფელთან ახლოს. მისი სიგრძე უდრის 12 ვერს. იმავ მაზრაში გაკეთებულ იქნა დოზე—გრაკალის არხი, რომლის სათავეც არის სოფ. ხიდისთავთან მდინარე მტკვარში. მისი სიგრძე უდრის 16 ვერს და რწყავს 2500 დესიატინა მიწას.

3) შორაპნის მაზრაში გაკეთდა ზაზულის ჭალების არხი, რომლის სათავეც იწყება ქალ. ზესტაფონთან მდინარე ყვირილიდან. მთავარი არხის სიგრძე უდრის 18 ვერს; მას გაუკეთეს აგრეთვე 7 ვერსიანი პატარა არხი. ეს არხი მორწყავს 2500 დესიატინა მიწას.

4) ქუთაისის მაზრაში სწარმოებს მუშაობა არხი „მაშველი“-ს დასამთავრებლად, რომელიც მორწყავს 12000 დესიატინა მიწას.

საქართველოს კომ.პარტიის ცეკას საინფორმაციო განყოფილება.

(დასასრული იქნება).

რკინის გზის საავადმყოფოს კომიაჩეიკაში.

21 ივლისს უკანასკნელი მილიანი პარტიული დღე ჩატარდა ჩვენთან დიდი ყურადღებით, კომიაჩეიკის კრება გაიხსნა. შეიკრიბენ 46 უპარტიოები. საკითხები ირჩეოდა: „ამხ. კამოს ცხოვრება და მოღვაწეობა“, და ჰააგის კონფერენციის შესახებ.

ჩვენ კომიაჩეიკის წევრთა შორის არავინ დაახლოვებით არ იცნობდა ამხ. კამოს და საჭირო შეიქნა გვესარგებლა იმ მასალებით, რომელიც იბეჭდებოდა გაზეთებში და წაგვეკითხა ამხანაგების მიერ დაწერილი შესანიშნავი ადგილები ამხ. კამოს ცხოვრება მოღვაწეობაზე.

თითეულ ჩვენგანს წარმოუდგა თვალწინ ამხ. კამოს მძიმე, სასახელო და გმირული ცხოვრების სურათი. ისიც კი ვინც ამხ. კამოს არ იცნობდა, ხოლო ვისაც უღვივის რევოლუციონური ნაპერწკალი იტყვის ერთხელ და სამუდამოდ: „შენი ცხოვრება ამხანაგო კამო, შენი ღვაწლი პროლეტარიატის გასანთავისუფლებლად საუკუნოდ დაუვიწყარი იქნება ჩვენთვის და ჩვენც მივბაძავთ შენს მაგალითს“.

ამხ. კამოს ხსოვნას პატივი სცეს ფეხზე ადგომით.

ცნობები ჰააგის კონფერენციის შესახებ დიდი ყურადღებით იქნა მოსმენილი. ადგილი ქონდა შეკითხვებს, რომლებზედაც იძლეოდნენ დამაკმაყოფილებელ პასუხს.

საერთოდ ასეთი ღია კრებებს დიდი მნიშვნელობა აქვს მასებთან დასაახლოვებლად; საგულისხმოა, რომ ეს მცირედი ჯგუფი, რომელმაც თავი მოიყარა კომიაჩეიკის გარშემო ხდება ერთ მთლიან ოჯახად.

ღია კრების შემდეგ განხილულ იქნა თბილისის კომიტეტის საავიტაციო საპროპაგანდო განყოფილების ანკეტა. თითეულ მუხლის შესახებ ცალცალკე გამოდიოდნენ სიტყვით კომიაჩეიკის წევრები. ამ ანკეტების განხილვაში დიდი ინტერესი და ცოცხალი მონაწილეობა გამოიჩინეს ჩვენმა ამხანაგებმა. სასურველი იქნებოდა, რომ ასეთი ანკეტები ხშირად იგზავნებოდეს თბილისის კომიტეტის მიერ, მას შეაქვს სიცოცხლე და სიფხიზლე კომიაჩეიკებში.

ბუფიკი.

რკ. გ ზ. მილიციის № 11 იაჩეიკა. მოისმინა რა ამხ. ჩხეტიას მოხსენება ესერების პროცესის შესახებ და სცნო, რომ მემარჯვენე სოციალისტების პარტიამ გამოააშკარავა თავისი წვრილბურჟუაზიულ-რეაქციონური ბუნება ოქტომბრის რევოლუციის პირველ დღეებიდანვე აწარმოებდა რა აქტიურ ბრძოლას საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ, დაწყებული უშუალო გამოსვლებით და გათავებული ტერორისტული აქტებით პროლეტარიატის საუკეთესო წინამძღოლთა წინააღმდეგ: ვოლოდარსკის და ურიცკის მოკვლა და ლენინის დაჭრა, და კერძოდ ბაქოს 26 საუკეთესო კომუნისტების ინგლის რუსეთის ჯალათების ხელში გადაცემა, რკინის გზის მილიციის მეორე რაიონის № 11 კომიაჩეიკა ზიზღს უცხადებს ესერების მკვლელებისა და მცარცველების შაიკას და მოითხოვს პროლეტარულ რევოლუციონურ სასამართლოსაგან მათ შეუბრალებელ დასჯას.

პროვინციაში

სვანეთი.

სკოლების მდგომარეობა.

სკოლების რიცხვი ზემო სვანეთის მაზრაში თითქოს საკმარისი, მაგრამ სწავლა არც ყოფილა მათში გარდა ორისა. სკოლები უკიდურეს მდგომარეობაშია: შენობა დაზიანებულია, მინები ჩალეწილი მენშევიკური მთავრობის ტყვიებით. მასწავლებლებმა შკოლებში მეცადინეობას თავი დაანებეს, ვინაიდან მათ არ შეეძლოთ ასეთ ჩანგრეულ შენობებში გაეგრძელებიათ მეცადინეობა. ისინი მეტი წილი მენშევიკები იყვნენ, მეცადინეობას სკოლაში თავს ანებებდენ და მენშევიკურ პარტიის არჩევნებზე მუშაობას მეტ დროს ანდომებდენ. მენშევიკ. მთავრობამ სვანეთში სკოლების ინსტრუქტორად დანიშნა ბ. ხერგიანი, რომელსაც მოჰქონდა სვანეთის მასწ. ჯამაგირები.

მასწავლებლების ჯამაგირებით ქუთაისში ყიდულობდენ მატყლს და მერე მასწავლებლებს ანუგეშებდენ მატყლის გაყიდვით და ჯამაგირს მაშინ დაგირიგებთო, მაგრამ ის მალე არ საღდებოდა და მასწავლებლებიც უჯამაგიროდ რჩებოდენ 5—6 თვის განმავლობაში. ბ. ხერგიანმა გამოიტანა მასწ. დასარიგებლად ჩაი და შაქარი, მაგრამ ის მან მიითვისა.

წმინდათ ემსახურებოდა თავის მოვალეობას ი. გუჯეჯიანი, სარ. გუჯეჯიანი და ნ. იოსელიანი, მაგრამ ჯამაგირები მათაც არ მიუღიათ მენშევიკებისაგან.

საბჭოთა ძალა უფლების დამყარების შემდეგ სვანეთის სკოლებში მეცადინეობაც იწყება. იმედია, რომ უფრო ენერგიულად იმუშავებს მთავრობა სვანეთის სკოლებისათვის.

მუშა სვანი: **პ. მარგიანი.**

ლანირ-ქუტირის თემი.

(ხონის რაიონი)

ლანირ-ქუტირის თემი კულტურულად ჩამორჩენილია, ამ თემში ერთი სამკითხველოც არ არსებობს, და მშრომელ ხალხს არა აქვს საშუალება გაზეთები იკითხოს, დღევანდელ მდგომარეობას გაიცნოს და საერთოდ დაადგეს პოლიტიკურ-კულტურულ გათვითცნობიერების გზას, საჭიროა ლანირ-ქუტირის მოწინავე პირებმა მეტადრე კი პარტიულმა ამხანაგებმა, მიაქციონ ამას ყურადღება და გახსნან სამკითხველო.

აგრეთვე ცუდ მდგომარეობაშია სასწავლებლების შენობებიც განსაკუთრებით სოფ. გვაზაურის სკოლის შენობა; დღეს თუ ხვალ ქარი უქადის მას დანგრევას. არა აქვთ შეძლება ადგილობრივ მცხოვრებით რომ შეაკეთონ ის?—შეძლება აქვთ. თვით ზემოხსენებული სასწავლებლის ეზოში არის უზარმაზარი ხეები რომელიც გამოდგება მასალად სკოლის შეშენებისათვის. ვინ უნდა ითავოს ეს საქმე? პირველ ყოვლისა პარტიულ ამხანაგებმა. არის ძალები და გამოვიყენოთ ისინი. საჭიროა საჩქაროდ შევუდგეთ საქმეს.

შემდგარია ლანირ-ქუტირის თემში სცენის მოყვარეთა წრე, რომელიც ჩინებულად ასრულებს მოვალეობას.

ქ. მიქაძე.

ზანის თემი.

(სენაკის მაზრა)

ჩვენი თემი ამ უკანასკნელ დრომდის მიწერილი იყო ჩვენთვის ყოველ მხრივ უხერხულ ზუგდიდის მაზრაზე, მაგრამ ახლანდელმა მთავრობამ გვიხსნა ამ მდგომარეობიდან დ მიგვაწერა სენაკის მაზრას. ზოგიერთი ვექპატონები კიდევ არ აკლებენ თურმე მეცადინეობას ისევ ზუგდიდის მაზრაში გადაწერაზე, მაგრამ ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ ეს არ მოხდება.

ჩვენი თემიდგან სენაკამდის სულ 18 ვერსტია. ოთამდის ამ გზაზე ეტლები დადიოდნენ, დღეს კი, ნამეტურ ავდარში, ცხენითაც ძნელია სიარული. სულ რაღაც 7—8 ვერსტია გასაკეთებელი, ახალსენაკ და მდ. ცივ შუა, დანარჩენი გზა შეკეთებასაც არ საჭიროებს და თავისუფლად შეიძლება ეტლებით სიარული სენაკიდან მუხურამდე 49 ვერსტის მანძილზე. ახლა სოფლის მუშაობა უკვე მინელებულია და საჭიროა დაუყონებლივ შეუდგებოდნენ ამ გზის შეკეთებას. საჭიროა მხოლოდ ინიციატივა, დანარჩენს კი თვით ხალხი დიდის სიამოვნებით მიიღებდა თავის თავზე. აუცილებლად საჭიროა ამ მხარეში მცხოვრებთათვის, რომ ეს გზა უეჭველად შეკეთებულ იქნას ამ ზამთრამდის.

ჩვენს თემს თან და თან ეტყობა წინსვლა ქურდობა სრულებით მოისპო; ყაჩაღობაც ისპობა. სათეატრო შენობა შეკეთებულია; მაგრამ, სამწუხაროდ, ჯერ ვერ არის იგი მოწყობილი: არა გვაქვს; მაგიდა-სკამები არა გვაქვს გაზეთები და არ გვყავს ბიბლიოთეკარი; წიგნები კი გვაქვს ცოტა. გვაქვს ფოსტა-ტელეგრაფი, აფთიაქი, სასწავლებელი და სხვა. ამ დაწესებულებებს შუა მიდის შოსსე რომლის იქით აქეთა მხარეს ათი საქენის მანძილზე წრეულს ხეები იქნა დარგული. ყველა ამას ჩვენ უნდა უმადლოდეთ ადგილობრივი აღმასკომის თავმჯდომარე ამხ. მიშა ტყებუჩავას, რომელიც არასფერს ზოგავს ხალხის სამსახურისათვის.

ყოფილი.

წერილი რედაქციის მიმართ

1910 წლიდან მე ვირიცხებოდი მენშევიკურ პარტიაში. მაგრამ ჩემდა სამწუხაროდ ამ ხნის განმავლობაში მე ვამჩნევდი, რომ მან დაივიწყა მუშების და გლეხის ინტერესები: შემოიკრიბა რა სოციალისტური დროშის ქვეშ ყველა ნაციონალისტები, გაიჩაღა შუღლი სხვა და სხვა ერების მშრომელთა შორის და ამიტომ სირცხვილად მიმაჩნია ამ პარტიის წევრობა და მისი სახელის ტარება. მე, მთავარ სახელოსნოების მუშა ვაცხადებ მოძმე საბჭოთა რესპუბლიკის მშრომელთა წინაშე, რომ მსოფლიოში არ არის სხვა პარტია, რომელიც იცავდეს მუშათა ინტერესებს—გარდა კომუნისტური პარტიისა და არ არის პროლეტარიატის ინტერესების დასაცავად წესწყობილება უკეთესი ვინემ საბჭოთა რეჟიმი.

სურმავა.

მთავრობის მოქმედებანი და განკარგულებანი

დადგენილება № 17.

შრომის და შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატების.

განსაკუთრებით საჯდომ ცხენებზე ხარკის ნატურით მოხდის ფულათ შეცვლის შესახებ.

ვინაიდან საჯდომ ცხენების ტვირთზიდვის ხარკის ნატურით—მოხდას მოაქვს მეურნეობისათვის ზიანი და დეზორგანიზაცია შეაქვს ხარკის წესიერ ჩატარების საქმეში, თანახმად საქ. სახალხო კომისართა საბჭოს № 22 დადგენილების მე-4 მუხლისა, შრომის და შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატები ადგენენ.

1. საჯდომი ცხენები განთავისუფლებულ იქნეს შრომის ხარკის ნატურით მოხდისაგან.

2. შრომის ხარკის ნატურით მოხდის ნაცვლად უნდა გაეწეროს ფული, რომლის შემოსავალი, თანახმად საქ. რევოლუციონური კომიტეტის ნომ. 145 ით გამოცემულ დადგენილებისა § 3 ჩაირიცხება ადგილობრივ კომუნალურ განყოფილებისადმი სახელმწიფო ცხენების შესაძენად და შესანახად.

3. უბედურ და მოულოდნელ შემთხვევის დროს (ყაჩაღების დევნა, ცეცხლი და წყალდიდობა და სხვ.) საჯდომი ცხენები უნდა იქნას გამოყვანილი ბეგრის წესით შრომის ხარკის ანგარიშის გარეშე და ისიც შრომის განყოფილების ან თემთა შრომის რწმუნებულთა ნებადართვით და მათი შუამდგომლობით.

4. დღიდან ამ დადგენილების გამოქვეყნებისა ყველა დაწესებულებათა და თანამდებობის პირთ ეკრძალებათ საჯდომ ცხენების ხარკის ანგარიშში გამოყვანა, გარდა მე-3 ე მუხლში ნაჩვენებ შემთხვევათა საჭიროებისა.

5. ზედამხედველობა და სისრულეში მოყვანა ამ დადგენილებისა ევალებათ სამაზრო და თემთა აღმასრულებელ კომიტეტებს, ხოლო ცხოვრებაში გატარება ევალებათ შრომის განყოფილებათა, და თემთა შრომის რწმუნებულთ მათი პასუხისმგებლობის ქვეშ.

შინაგან საქმეთა სახალხო კომისარი **ა. გეგეჭკორი.**

შრომის სახალხო კომისრის მოადგილე **ა. მიქაძე.**

შრომის ხარკის და ბეგარათა განყ. გამგის მ. ალ. **ნასყიდაშვილი.**

26 ივლისი 1922 წ.

ქ. თბილისი.

დადგენილება № 40

საქართველოს სოციალისტური საბჭოთა რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოსი.

სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის კურორტებისათვის სასეზონო გადასახადის დაწესების შესახებ.

საერთო სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის კურორტების სანიტარულად გაუმჯობესებისა და კულტურულ განმანათლებელ მიზნების მისაღწევად საქართველოს სოციალისტური საბჭოთა რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭო **ადგენს:**

1. ის პირი, რომელიც სეზონის განმავლობაში ისარგებლებს საერთო სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის კუროორტს, გადაიხდის სასეზონო გადასახადს 150 ათას მანეთს, ოჯახი, რომელიც შესდგება ორი სულისაგან გადაიხდის 250 ათას მანეთს, ოჯახი—სამიდან ხუთ წევრამდე გადაიხდის სამასი ათას მანეთს, ხოლო ოჯახი, შემდგარი ხუთზე მეტ წევრისაგან, გადაიხდის 50 ათას მანეთს თვითეულ სულზე ხუთ ზევით.

შენიშვნა: სახელმწიფო, საწარმოო და სხვა დაწესებულებათა მუშა-მოსამსახურენი და წითელ არმიელნი იხდიან გადასახადის 50 პროცენტს.

2. სასეზონო გადასახადისაგან თავისუფლდება:

1) ვინც სახელმწიფო დაწესებულების ხარჯზეა სამკურნალოდ ან სოციალურ უზრუნველყოფაზეა მიღებული;

2) სამსახურის გამო ჩამოსული;

3) ბავშვი, რომელსაც 12 წელი არ შესრულებია;

4) ვინც გემზე მსახურებს და გემის გაჩერების გამო დარჩება ზღვის ნაპირა კურორტზე;

5) ვინც შვიდ დღეზე მეტს არ დარჩება კურორტზე.

6) ფიზიკურად მომუშავე.

3. დადგენილ სასეზონო გადასახადის აკრეფა დაევალება ადგილობრივ აღმასრულებელ კომიტეტს, რომელიც ამ თანხიდან ეწევა ხარჯს დანიშნულებისამებრ (მუხ. 4).—განსაკუთრებული შემოსავალ-გასავლის ანგარიშის წიგნით,—ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატის წარმომადგენელთან შეთანხმებით.

4. სასეზონო გადასახადისაგან შემოსული თანხა შეიძლება დაიხარჯოს მხოლოდ კურორტის ჰიგიენურ-სანიტარული პირობების გასაუმჯობესებლად ჯანმრთელობის კომისარიატის წინადადებით.

5. სასეზონოდ ჩამოსული ვალდებულია შეიტანოს დადგენილი გადასახადი ადგილობრივ აღმასრულებელ კომიტეტის სალაროში არა უგვიანეს ერთი კვირისა, მისი ჩამოსვლის დღიდან.

6. წინა (5) მუხლში აღნიშნული ვადის გადაცილებისათვის დამნაშავე გადაიხდის ჯარიმად დადგენილ გადასახადის 50 პროც., რაც შედის ადგილობრივ აღმასრულებელ კომიტეტის სალაროში იმავე მიზნისათვის რომელიც გათვალისწინებულია მე 4-მუხლში.

7. უკეთუ წინა (6) მუხლში აღნიშნული გადასახადები ვალდებულ პირმა არ შეიტანა თავისი ნებით ვადის გადაცილების შემდეგაც სამი დღის განმავლობაში, როგორც სასეზონო გადასახადი, ისე მისი პროც. გადახდება იძულებით ადმინისტრატიული წესით.

8. ყველა დადგენილება, საბჭოთა ხელისუფლების მიერ გამოცემული გაუქმებულია იმ ნაწილში. რომელიც ამ დადგენილებას არ ეთანხმება.

9. დადგენილება ესე ძალაში შედის დღიდან მისი გამოქვეყნებისა.

საქართველოს სოციალისტურ საბჭოთა რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე **ს. ქავთარაძე.**

ჯანმრთელობის სახალხო კომისარი **გრ. კუჭაიძე.**

სახალხო კომისართა საბჭოს მდივანი **ალ. ხადარიძე.**

1922 წ. ივლისის 31.

ტფილისი—სასახლე.

საქართველოს უმაღლეს სატარიფო საბჭოს დადგენილება № 1.

1 აგვისტო 1922 წელი.

იმ წარმოებებში და დაწესებულებებში განაკვეთის განსაზღვრისათვის სადაც დადებულია კოლექტიური ხელშეკრულება პროდუქტებზე აგვისტოს თვის პირველ ნახევრის განაკვეთის საფუძვლად ქ. თბილისისათვის, დაწესებულია შემდეგი ბაზრის საშუალო ფასები:

№№ რიგზე	პროდუქტების დასახელება.	ზომა წონის ერთეული.	ფასი
1.	პური	1 გ.	8 000 მ.
2.	ქართოფილი	1 „	3 000 მ.
3.	ხორცი	1 „	25.000 მ.
4.	კომბოსტო	1 „	2.000 „
5.	თევზი	1 „	15 000 „
6	ზეთი	1 „	45.000 „
7.	ერბო	1 „	65 0 0 „
8.	შაქრის ფხვნილი	1 „	22.000 „
9.	მარილი	1 „	2 000 „
10.	ლობიო	1 „	9.000 „
11.	ბრინჯი	1 „	18.000 „
12	ჩაი ერთი მეოთხედი		40 000 „

სატარიფო საბჭოს თავმჯდომარე: **ა. მიქაძე.**

მდივანი—**კ. ხოკუჩავა.**

პარტიული

შაბათს, 5 აგვისტოს დილის 10 საათზე, საქართველოს კომპარტიის თბილისის კომიტეტის საავიტაციო-საპროპაგანდო განყოფილებაში შესდგება პოლიტიკურ წრეების და რაიონულ სკოლების ყველა ხელმძღვანელების თათბირი.

ხელმძღვანელთა დასწრება სავალდებულოა.

სხდომაზე მოწვეულია სამხედრო პოლიტიკურ წრეების და სხვა ჯგუფობრივ კურსების და სამეცადინოების მუშაკები და აგრეთვე რაიონულ კომიტეტების წარმომადგენლები.

დღის წესრიგი:

1) ხელმძღვანელების ინფორმაცია პოლიტიკურ წრეების მუშაობის შესახებ.

2) განხილვა და გამომუშავება პოლიტიკურ წრეების მუშაობის პროგრამისა და მეთოდის.

3) მიმდინარე საქმეები.

საქართველ. კომპარტიის თბილისის კომიტეტის **საავიტაციო საპროპაგანდო განყოფილება.**

სარედაქციო კოლეგია.

გულდათუთქული დედა ელისაბედ შვილებით: ნადია ნიჟარაძისა, ოლია ხუჩინოვისა, თამარი, გრიგოლი, ვლადიმერ, ალექსანდრე და შალიკო მწუხარებით აუწყებენ ნათესავთ, მეგობართ და ნაცნობთ, რომ ხანგრძლივი ავადმყოფობის შემდეგ 29 ივლისს აბასთუმანში გარდაიცვალა მათი უსაყვარლესი

ელენე (ელიკო) ეგნატეს ასული ნარსია

პანაშვიდი ყოველ დღე საღამოს 6 საათზე, გამოსვენება საფიჩხიის სასაფლაოზე 3 აგვისტოს 5 საათზე, საკუთარ სახლიდან მთის ქირის ქ.

(1—1)

ბინით სარგებლობის კანონი

გამოცემულია ცალკე ბროშიურებათ და ამ დღეებში გაიყიდება ყველა უკანასკნელი, ამ ჟამად მოქმედი დეკრეტები და დადგენილებანი საბინაო საკითხის შესახებ, აგრეთვე დადგენილება

კომუნალურ სამსახურზე.

ქირის შემოღების შესახებ.

ბინით სარგებლობის კანონი გაიყიდება გაზეთის ტრესტის კანტორაში (რუსთაველის პრ. № 24). და ყველა გაზეთის გამყიდველებთან.

თითო ეგზემპლიარი ეღირება 20 ათასი მანეთი.

(0—2)

ტფილისის გარეუბნის სახალხო მოსამართლე

იწვევს მემკვიდრეებს, გარდაცვალებულის გიორგი ოღანესას ძე ხურტიკიანცისა, გამოაცხადონ თავიანთი უფლება ორი თვის განმავლობაში, აღნიშნულ ხურტიკიანცის ქონებაზე.

(1—1)

სახალხო მოსამართლე **დ. ტატიშვილი.**

სახალხო სასურსათო კომისარიატი

ამით აცხადებს, რომ თანახმად დეკრეტისა № 8 მატყლის მონოპოლ შესახებ ყველა დაწესებულება, საზოგადოება და კერძო პირი მოვალეა თის კვირის განმავლობაში დღიდან ამა განცხადების გამოქვეყნებისა ჩაბა რონ მთელი ის მატყლი, რომელიც მათ ხელშია, მეცხვარეთა ამხანაგობ „ოწყუმსის“ საწყობებში (ნიკოლოზის ქ., № 22), სადაც მოხდება ანგარიშ გასწორება სახალხო სასურსათო კომისარიატთან არსებულ საგანგებო კომ სიის მიერ შემუშავებულ წესით და ფასებით.

ვინც აღნიშნულ ვადაზე მატყლს არ ჩააბარებს, სამართალში იქნე მიცემული, მატყლი კი ჩამოერთმევა კონფისკაციის წესით.

სახალხო სასურსათო კომისარიატი სთხოვს ხელისუფლების ორგანოებ საბჭოთა დაწესებულებებს და კერძო პირთ, აგრეთვე საკოოპერაციო, მუშა თა და სხვა ორგანიზაციებს ყოველ მხრივი და სასწრაფო დახმარება აღმოუჩინონ ამხანაგობა „ოწყუმსს“, რომელსაც სახალხო სასურსათო კომისარიატის მიერ დავალებული აქვს მატყლის მონოპოლიის განხორციელება რე პუბლიკანურ მაშტაბით.

(2—2)

სახალხო სასურსათო კომისარიატი.

თბილ. აღმასრულებელ კომიტეტის გადასახადებ

ბიურო

ამით აცხადებს, რომ პარასკევს, 4 აგვისტოს, დღის 12 საათზე, ქალაქ აღმასრულებელ კომიტეტის შენობაში გაიმართება

საჯარო ვაჭრობა

შემდეგი აბანოების იჯარით გასაცემად:

1) აბანო	— — — გოგილო—გოგირდის	კახეთის ქუჩა.
2) „	— — — ჩითახოვის —	„
3) „	— — — ედიგაროვის —	ვორონცოვის ქ.
4) „	— — — ფანტაზია —	„
5) „	— — — მურსაკულოვის	სარქისის ქუჩა.
6) „	— — — ანანოვის ორთქლის	ფევერკის ქ. № 8.
7) „	— — — კარაჯევის —	„ № 21.
8) „	— — — ნარსია —	19 თებერვ. ქ.
9) „	— — — აბრამაშვილის —	ვერის დაღმართი.
10) „	— — — ცოვინოვის —	კაზნაჩეის ქუჩა.

კომისიის ნახვა შეიძლება ყოველდღე.

3—2

გაზეთის ტრესტის მთავარ კანტორისაგან

რათა არ იქნეს შეწყვეტილი გაზეთების გზავნა, გაზეთის ტრესტის მთავა კანტორა სთხოვს ხელის მომწერლებს თავის დროზე იზრუნონ ხელის მოწ რის განახლებაზე.

ხელის მოწერა მიიღება თბილისის ყველა გაზეთებზე ხელის მოწერ ფასი ძველია. ხელის მოწერა მიიღება რამდენიმე თვისაც ამა წლის დასა რულამდე.

გაფრთხილება: ხელის მომწერლებს, რომლებიც არ შემოიტანენ მო მავალ თვის პირველამდე აგვისტოს ხელის მოწერის ფასს, ან არ დაფარა ვენ თავიანთ ვალების ვალდებულებას, გაზეთები აღარ გაეგზავნება,

(0—11)

კვირას, 6 აგვისტოს დილის 9 საათზე

შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის საჯინიბოში

(კადეტის შესახვევი № 7)

გაიყიდება აუქციონით

იქვსი კარგი მუშა ცხენი და ეტლები.

(2—1)

თბილისის ქალაქის აღმასკომის გადასახადთა ბიურო

თანახმად დეკრეტისა **ყველა ფასიანი საჯარო სანახაობებიდან და გასართობებიდან პროცენტ. გადასახადის აკრეფის შესახებ გადასახად ბიურო აცხადებს**, რომ 1 აგვისტ. ბილეთების ღირებულების 5 პროც. ყველ სანახაობებიდან და გასართობებიდან და სხვ. უნდა გადახდილ იქნეს მ სასარგებლოდ. **კონცერტის, წარმოდგენის და სხვ. განცხადებამდე ერთ დღით ადრე** გამმართველებმა უნდა აღნუსხონ საბილეთო წიგნაკები **თბილისის ქალაქის აღმასკომის გადასახადთა ბიუროში.**

ამ დადგენილების დამრღვევთ ერთმევათ უფლება წარმოდგენების, კონცერტების და სხვ. გამართვისა.

(4—1)

საქართ. სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭო

აცხადებს, რომ იგი იჯარით სცემს შემდეგ წარმოებებს:

1. სახელ. ტყავეულ. საპნის ქარხანას ყოფილ ზახენცოვებისას	ვორონც. ქ. № 122.
2. სახელმწიფო საპნის ქარხანას ყოფილ კოჩიევისას	კახეთის ქ. № 64.
3. სახელმწიფო საპნის ქარხანა ყოფილ ერობათა კავშირისას	კახეთის ქ. № 68.
4. ლუდისა და ყინულის ქარხანას ყოფ სიხარულიძისას	დიდიმთავრის ქ. № 68.
5. საგალეტო პურის საცხობი ქარხანა № 1 ყოფ ხარაზოვისა	ახმედის ქ. № 6.
6. ლაბორატორია ყოფ ვილარეტისა	ლორის-მელიქოვის ქ. № 9.
7 გამწმენდი (чесальный) განყოფილება ყოფ ზარგარიანცისა და ფარტახარიანცის ქარ.	ორთაჭალაში.
9. ფაბრიკა „ტექსტილ“	ორთაჭალაში.
10 კირის ქარხანა ყოფ. ჩარექოვისა	ქუთაისში.

იჯარის მიღების შესახებ განცხადების შემოტანის უკანასკნელ დღედ დანიშნულია ამა წლის 10 აგვისტო.

დაწვრილებითი პირობების გაგება შესაძლებელია **სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოს ცენტრალურ საწარმოო განყოფილების საიჯარო სექციაში** – პუშკინის ქუჩა, № 3.

9 საათიდან 3 საათამდე.

2—1

ტირაჟი 10,000. ნ. ჟ. ს. ფ.

საქართველოს უმაღლეს სახალხო მეურნეობის საბჭოს პოლიგრაფიულ განყოფილების მე-2 სტამბა, კრუზენშტერნის ქ. № 4.